# ახალგაზრდა კომუნისტი

შაბათი, 17 მარტი, 1990 წ.
№ 30 (11516)

საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ორგანო

«АХАЛГАЗРДА КОМУНИСТИ» — ОРГАН ЦК ЛКСМ ГРУЗИИ

გაზეთის პირველი ნომერი გამოვიდა 1921 წლის 13 აგვისტოს

ფასი 3 კაპ.

ჩვენი მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქუჩა № 14 (შესასვლელი გ. ლენინის ქუჩიდან) ტელეფონები: ინფორმაციისათვის – 93-97-31, წერილების განყოფილება – 93-38-52, სამდივნო – 93-31-56







# საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობისათვის

## საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საგანგებო კონფერენცია

1990 წლის 13-15 მარტს საქართველოს დედაქალაქში, ფილარმონიის დიდ დარბაზში გაიმართა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საგანგებო კონფერენცია. კონფერენცია მოამზადა და მოიწვია საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიამ, წმინდა ილია მართლის საზოგადოებამ, საქართველოს მონარქისტულმა პარტიამ, მერაბ კოსტავას საზოგადოებამ და თეთრი გიორგის კავშირმა. კონფერენცია მიჰყავდათ **ზვიად გამსახურდიას** (კონფერენციის თავმჯდომარე), **ირაკლი წერეთელსა და თენგიზ სიგუას.**

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საგანგებო კონფერენციამ განიხილა შემდეგი საკითხები:

1. იურიდიული პირის სტატუსის მატარებელი ოფიციალური ორგანოს განსაზღვრა, რომელიც იქნება ქართველი ერის და საქართველოს კანონიერი მოსახლეობის ნების გამომხატველი;

2. საქართველოს ე. წ. სსრ უზენაესი საბჭოს 1990 წლის 9 მარტის რიგგარეშე სესიის დადგენილების შეფასება;

3. საყოველთაო დემოკრატიული პირდაპირი და თანასწორი ფარული კენჭისყრის საფუძველზე გარდამავალი კოალიციური ოპოზიციური ხელისუფლების არჩევა;

4. საქართველოს ეროვნული ფორუმის არჩევა საგანგებო კონფერენციის მიერ;

5. საქართველოს საყოველთაო ეროვნული ყრილობის მოწვევა;

6. საქართველოს კანონიერი მოსახლეობის მიერ ბოიკოტის გამოცხადება სსრ კავშირის საოკუპაციო არმიის რიგებში სამსახურისადმი;

7. საქართველოს კანონიერი მოსახლეობის მიერ საქართველოს ე. წ. სსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების ჩაშლა;

8. საქართველოს ე. წ. კომკავშირის თვითლიკვიდაცია;

9. დამოკიდებულების განსაზღვრა გერმანიის გაერთიანებისადმი.

საგანგებო კონფერენცია გახსნა ზვიად გამსახურდიამ. შესავალი სიტყვით გამოვიდა ირაკლი წერეთელი.

მოხსენებებითა და სიტყვებით გამოვიდნენ: ირაკლი ბათიაშვილი, გიორგი ჭანტურია, თეიმურაზ ქორიძე, ნოდარ ნათაძე, ელგუჯა წიკლაური, თენგიზ სიგუა, რომან გოცირიძე, ვახტანგ ტალახაძე, შოთა ნადირაშვილი, ირაკლი კაკაბაძე, თეიმურაზ სუმბათაშვილი, ვახტანგ ბოჭორიშვილი, ნოდარ წულეისკირი, გიორგი თვალავაძე, ჯაბა იოსელიანი, თენგიზ შარმანაშვილი, დავით ზარდიაშვილი, გიორგი მარჯანიშვილი, თედო პაატაშვილი, ავთანდილ იმნაძე, ზურაბ ჟვანია, გურამ მუჩაიძე, აკაკი ასათიანი და სხვები. გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა და ცხარე კამათი აღნიშნული საკითხების გარშემო. ხმათა გადამწყვეტი უმრავლესობით, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კონფერენციამ დაადგინა, რომ იურიდიული პირის სტატუსის მქონე ოფიციალური ორგანო, რომელიც იქნება ქართველი ერისა და საქართველოს კანონიერი მოსახლეობის ნების პირდაპირი გამომხატველი, შეიძლება იყოს მხოლოდ საყოველთაო დემოკრატიული პირდაპირი და თანასწორი ფარული კენჭისყრით არჩეული გარდამავალი კოალიციური ოპოზიციური ხელისუფლება. წაკითხულ და მიღებულ იქნა რეზოლუციები შესაბამისი საკითხების შესახებ. კონფერენციის მუშაობა დასრულდა ეროვნული ფორუმის არჩევით. კონფერენციის გადაწყვეტილებით, განისაზღვრა ფორუმის ფუნქციები: ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კოორდინაცია და შეთანხმებული ხელმძღვანელობა, ეროვნული ყრილობის მოწვევა და საყოველთაო დემოკრატიული პირდაპირი და თანასწორი ფარული კენჭისყრის საფუძველზე გარდამავალი კოალიციური ოპოზიციური ხელისუფლების არჩევნების მოწყობა.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოში არსებულმა ყველა ეროვნულ-პოლიტიკურმა პარტიამ და ორგანიზაციამ, საზოგადოებრივმა გაერთიანებებმა და სხვადასხვა დარგის 185 წარმოება-დაწესებულებისა და საქართველოს ყველა რეგიონიდან ჩამოსულმა წარმომადგენელმა.

დღეს ჩვენი გაზეთის მე-2 და მე-3 გვერდებზე გაეცნობით კონფერენციის დადგენილებასა და რეზოლუციებს.

**1988 წლის ზაფხულიდან საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციის პირველად, სარაიონო, საქალაქო, საოლქო, ცენტრალურ კომიტეტებთან შეიქმნა მრავალი ფართო პროფილის მქონე გაერთიანებები, რომლებიც ახალგაზრდობისა და ბავშვებისათვის აწარმოებენ პროდუქციას, ემსახურებიან მათ.**

**განვლილი ორი წლის მანძილზე სამეურნეო-ეკონომიკურ მარათონს ბევრმა ვერ გაუძლო, ბევრიც — გამსხვილდა და გაძლიერდა. სამეურნეო-ეკონომიკური საქმიანობის წარმატებით განვითარება წარმოუდგენელია ერთიანობის, მჭიდრო კავშირის გარეშე, მითუმეტეს, რთული საერთო პოლიტიკური სიტუაციისა და კომკავშირის საყოველთაო კრიზისის პირობებში.**

**დღეს საქართველოს კომკავშირული ორგანიზაცია გზაგასაყართანაა. 20-21 მარტს ჩატარდება კომკავშირის ყრილობა, რომელიც მისი საქმიანობის ახალ ფორმასა და შინაარსს განსაზღვრავს, აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, ჩვენი გაერთიანებების, ასოციაციების, ცენტრების, კოოპერატივების, საწარმოების სწრაფვა ერთიანობისაკენ. საკავშირო მინისტრთა საბჭოს ეკონომიკური რეფორმის სახელმწიფო კომისიის 1989 წლის 21 ოქტომბრის რეკომენდაციამ კონცერნების შექმნის შესახებ, მოქმედების ახალი პერსპექტივები წარმოაჩინა. არსებული რამდენიმე გაერთიანების შრომითი კოლექტივების საერთო კრებაზე გადაწყდა წარმოებისა და სოციალური განვითარების, მატერიალური, ფინანსური და სხვა რესურსების უფრო ეფექტიანად გამოყენების, სამეცნიერო-ტექნიკური, ეკოლოგიური ამოცანების გადაწყვეტის მიზნით ნებაყოფლობით გაეწიათ დელეგირება მათი ზოგიერთი უფლებისათვის და შეექმნათ ახალგაზრდული, სახალხო, სამეცნიერო, შემოქმედებითი-საწარმოო კონცერნი „ლილე".**

# მიმართვა

**კომკავშირის პირველად, სარაიონო, საქალაქო, საოლქო, ცენტრალურ ორგანიზაციებთან არსებული გაერთიანებების, ცენტრების, ასოციაციების, სოციალისტური საწარმოებისადმი, რომლებსაც აქვთ იურიდიული პირის უფლება.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1990 წლის 14 მარტის პრეზიდიუმის სხდომაზე დამტკიცდა საქართველოში პირველი სახალხო, ახალგაზრდული, სამეცნიერო, შემოქმედებითი, საწარმოო კონცერნი „ლილე", რომელიც გააერთიანებს ყველა იმ სამეურნეო ინსტიტუტს, რომლებსაც აქვთ ორიენტაცია ახალგაზრდობის, ბავშვების მომსახურებისაკენ ან მათთვის განკუთვნილი ნაწარმის გამოშვებაზე. კონცერნი გააერთიანებს კომერციულ ფირმებს, ახალგაზრდობის სამეცნიერო-ტექნიკური შემოქმედების ცენტრებს, გაზეთებს, საკაბელო ტელევიზიის ცენტრებს და სხვა.

კონცერნის დამფუძნებლები არიან საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს ახალგაზრდობის ფონდი „მამული" და სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებასთან არსებული ინვალიდთა ასოციაცია.

კონცერნში შემავალ დამოუკიდებელ იურიდიულ პირებს უნარჩუნდებათ დამოუკიდებელი იურიდიული პირის უფლება და ის შეღავათები, რომლებიც საკავშირო მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 4 აგვისტოს № 956-ე დადგენილებით არის გარანტირებული.

კონცერნში შემავალი გაერთიანებები ნებაყოფლობით საწყისებზე ახდენენ თავიანთი ზოგიერთი უფლება-მოვალეობის დელეგირებას მათი მოღვაწეობის საწარმოო და სოციალური განვითარების, ფინანსური და სხვა რესურსების ეფექტურად გამოყენების, სამეცნიერო-ტექნიკური განვითარების, საერთაშორისო მოღვაწეობის უკეთ წარმართვის მიზნით.

პირველად, სარაიონო, საქალაქო, საოლქო, რესპუბლიკურ კომკავშირ-ორგანიზაციებთან არსებული გაერთიანებების, ცენტრების, ასოციაციების, კოოპერატივების, სოციალისტური საწარმოების ხელმძღვანელებს ვთხოვთ,

**დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად გვეწვიონ თათბირზე, რომელიც ჩატარდება 19 მარტს 17 საათზე საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის სხდომათა დარბაზში.**

მისამართი: მაჩაბელის ქუჩა, 11

**საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრესცენტრი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საგანგებო კონფერენციის

# დადგენილება

მოისმინა რა საქართველოს შეურიგებელი და დემოკრატიული ორგანიზაციის წარმომადგენელთა პოზიცია, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს არჩევნებისადმი დამოკიდებულებისა და საქართველოს კანონიერი მოსახლეობის მიერ საყოველთაო დემოკრატიული პირდაპირი და თანასწორი ფარული კენჭისყრით გარდამავალი კოალიციური ოპოზიციური ხელისუფლების არჩევის შესახებ, რომელიც თეზისებად იყო ჩამოყალიბებული საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის, საქართველოს მონარქისტული პარტიის, წმიდა ილია მართლის საზოგადოების, საქართველოს ჰელსინკის კავშირის, თეთრი გიორგის კავშირისა და მერაბ კოსტავას საზოგადოების მიმართვაში, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საგანგებო კონფერენციამ ხმათა გადამწყვეტი უმრავლესობით დაადგინა:

1. საქართველოს განესაზღვროს ოკუპირებული, ანექსირებული, სუვერენიტეტწართმეული და უცხო ქვეყნის შეიარაღებული აგრესიის ქვეშ მყოფი ქვეყნის სტატუსი.

2. საქართველოს ე. წ. სსრ იურიდიულად როგორც მოკავშირე სუვერენული საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო, მიჩნეულ იქნას ფიქციად და მის ოფიციალურ სტატუსს მიეცეს დანაშაულებრივი ფალსიფიკაციის კვალიფიკაცია, რაც აგრესორის მიერ საქართველოში არსებული მდგომარეობის დაფარვისათვისაა გამიზნული.

3. საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო სტრუქტურები დღევანდელ საქართველოში „დე ფაქტოდ" არსებული საბჭოთა ხელისუფლება და სახელმწიფო წყობილება მიჩნეულ იქნას დანაშაულებრივად, როგორც შეიარაღებული აგრესიის პირდაპირი შედეგი და აქედან გამომდინარე კანონგარეშე და ბათილად იქნას გამოცხადებული ყველა ხელშეკრულება, რომელიც აგრესორის ძალდატანებით გააფორმა მეტროპოლიასთან ოკუპირებული და ანექსირებული საქართველოს ადგილობრივმა მარიონეტულმა ხელმძღვანელობამ, მოხდეს ადგილობრივი კომპარტიის თვითლიკვიდაცია.

4. არამც და არამც არ იქნას მიჩნეული საქართველოს ე. წ. სსრ უზენაესი საბჭო ქართველი ერისა და საქართველოს კანონიერი მოსახლეობის ნების გამომხატველ იურიდიულ ორგანოდ და პირად; 1990 წლის 25 მარტის საქართველოს ე. წ. სსრ უზენაესი საბჭოს მომავალ არჩევნებს გამოეცხადოს სრული ბოიკოტი კანონიერი მოსახლეობის მიერ.

5. გაიშალოს უფართოესი სამუშაო, რათა საქართველოს კანონიერი მოსახლეობის მიერ საყოველთაო დემოკრატიული და პირდაპირი თანასწორი ფარული კენჭისყრით არჩეულ იქნას საქართველოს გარდამავალი კოალიციური ოპოზიციური ხელისუფლება, რომელიც იქნება ოფიციალური იურიდიული პირი, საქართველოს კანონიერი მოსახლეობის ნების პირდაპირი გამომხატველი და საერთაშორისო სამართლის წინაშე მთელი სიმწვავით რეალურ დონეზე დასვამს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხს.

6. პარიტეტულ საწყისებზე შეიქმნას ეროვნული ფორუმი, რომელიც იქნება საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კოორდინირებული ხელმძღვანელობის ცენტრი, რომელიც მოიწვევს საყოველთაო ეროვნულ ყრილობას და გარდამავალი კოალიციური ოპოზიციური ხელისუფლების საყოველთაო დემოკრატიულ არჩევნებს.

# საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის 1990 წლის საგანგებო კონფერენციის რეზოლუციები, მიღებული 1990 წლის 15 მარტს

## I რეზოლუცია

ვინაიდან, საქართველოს დღევანდელი სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა და, კერძოდ, საბჭოთა იმპერიის შემადგენლობაში მისი ანექსირებული სახით ყოფნა საბოლოო ჯამში ემყარება საქართველოს ტერიტორიაზე საბჭოთა საოკუპაციო ჯარების არსებობას,

ვინაიდან, ადგილობრივი მარიონეტული ხელისუფლება — არაკანონიერად დამკვიდრებული საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო და საქართველოს სსრ მთავრობა და მისი ფაქტიური მმართველი — საქართველოს კომუნისტური პარტია, რომელიც რუსეთის კომუნისტური პარტიის განუყოფელი ნაწილია და მისი პოლიტიკური ნების გამტარებელი საქართველოს მოსახლეობის მიმართ — არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენს ქართველი ერის ნების გამომხატველს, არამედ მათი არსებობის და ფუნქციონირების ხანგრძლივობა მხოლოდ და მხოლოდ დამოკიდებულია საქართველოს ტერიტორიაზე საბჭოთა საოკუპაციო ჯარების განლაგების ხანგრძლივობაზე და მათ მშვიდობიან პირობებში არ შესწევთ უნარი შეინარჩუნონ ძალაუფლება საოკუპაციო ძალების დახმარების გარეშე, რისი დამადასტურებელიც იყო 1989 წლის 9 აპრილის სიტუაცია,

ვინაიდან, საბჭოთა არმია წარმოადგენს ქართველი ადამიანების პოლიტიკური და ეროვნული მოტივებით დისკრიმინაციის ინსტიტუტს, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის 1990 წლის საგანგებო კონფერენცია იღებს რეზოლუციას იმის თაობაზე, რომ:

ა) საბჭოთა იმპერიის საოკუპაციო ჯარებმა — ე. წ. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარებმა, საბჭოთა კავშირის შინაგანმა ჯარებმა და საბჭოთა კავშირის სამხედრო ოლქის ჯარებმა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სასაზღვრო ჯარებმა უნდა დასტოვონ საქართველოს ტერიტორია.

ბ) საქართველოს ჯერ კიდევ ოკუპირებულ მდგომარეობაში ყოფნის პირობებშიც კი:

1) უნდა შეწყდეს საქართველოს მოსახლეობის გაწვევა საბჭოთა საოკუპაციო არმიის რიგებში,

2) საქართველოს მოსახლეობის ფართო მხარდაჭერით უნდა განხორციელდეს პოლიტიკური და ეკონომიკური საბოტაჟი საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული საოკუპაციო ჯარების მიმართ,

3) ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გენერალური მიმართულება კონკრეტულად უნდა განისაზღვროს, როგორც მშვიდობიანი ბრძოლა საქართველოს ტერიტორიიდან საბჭოთა საოკუპაციო ჯარების გაყვანისათვის,

**ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!**

## II რეზოლუცია

ვინაიდან, კონფერენციამ, გამოხატა რა ქართველი ერისა და საქართველოს კანონიერი მოსახლეობის უმრავლესობის სურვილი, გამოეცხადოს საქართველოს ე. წ. უზენაესი საბჭოს არჩევნებს **ბოიკოტი, დაადგინა:**

1) უზენაესი საბჭოს დეპუტატობის ყოველი კანდიდატი მორალურად ვალდებულია მოხსნას საკუთარი კანდიდატურა.

2) 25 მარტს დანიშნული არჩევნების დღეს ყველა პატიოსანი მოქალაქე უნდა გამოცხადდეს საარჩევნო უბანში, უნდა ამოშალოს საკუთარი გვარი საარჩევნო სიებიდან, რეგისტრაციაში გაატაროს და ადგილზევე დატოვოს განცხადება იმის თაობაზე, რომ ამომრჩეველი (სახელი, გვარი), პოლიტიკური მოსაზრების გამო, ბოიკოტს უცხადებს საბჭოთა არჩევნებს.

3) იმ შემთხვევაში თუ 25 მარტს დანიშნულ არჩევნებს საქართველოს მარიონეტული ხელისუფლება გადაიტანს, იმ არჩევნებსაც, ისევე, როგორც ნებისმიერ საბჭოთა არჩევნებს, გამოეცხადება ბოიკოტი.

## III რეზოლუცია

ეროვნული მოძრაობის საგანგებო კონფერენციამ უნდობლობა გამოუცხადა ქართული ემიგრაციის იმ ნაწილს, რომელსაც წლების განმავლობაში არაფერი გაუკეთებია სამშობლოსათვის, პირდაპირ, ხშირ შემთხვევაში, თანამშრომლობდა საქართველოს მარიონეტულ ხელისუფლებასთან.

დღეს ქართული ემიგრაციის ეს ნაწილი ჭკუის დამრიგებლის როლში გვევლინება და საკუთარ თავს უფლებას აძლევს, რომ იმ მოძრაობას, რომელიც საქართველოში ებრძვის საოკუპაციო რეჟიმს, გარედან, სამშობლოდან ათასობით კილომეტრით დაცილებულმა, რაღაც რეცეპტები შესთავაზოს ეროვნულ მოძრაობას.

დროა, ემიგრანტთა ამ ნაწილმა დროზე გააკეთოს კონფერენციის ამ რეზოლუციაზე რეაქცია და ჩადგეს ეროვნული მოძრაობის სამსახურში.

## IV რეზოლუცია

### ქართული ეროვნული სამხედრო სასწავლებლის შექმნის შესახებ

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საგანგებო კონფერენციას მიაჩნია, რომ, მომავალი დამოუკიდებელი საქართველოს თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფის მიზნით, აუცილებელია შეიქმნას ეროვნული სამხედრო სასწავლებელი, რომელშიც აღდგენილი იქნება ქართველი იუნკერების გმირული ტრადიციები.

ამასთან დაკავშირებით მიგვაჩნია:

1. საქართველოს ეროვნულ ფორუმს დაუყოვნებლივ უნდა გადაეცეს ტერიტორია და შენობა იუნკერთა სამხედრო სასწავლებლის დასაარსებლად.

2. ეროვნული ფორუმის მიერ ჩატარდეს ახსნა-განმარტებითი სამუშაო, რათა სასწავლებელი დაკომპლექტებულ იქნას ღირსეული კანდიდატებით.

3. შეიქმნას საბანკო ანგარიში, რომელიც დააფინანსებს იუნკერთა სკოლას.

4. ეროვნულმა ფორუმმა შექმნას კომპეტენტური კომისია, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებას და ანგარიშვალდებული იქნება ეროვნული ფორუმის წინაშე.

5. საქართველოს ეროვნული მოძრაობის კონფერენცია მოუწოდებს ყველას: პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, საქველმოქმედო ორგანიზაციებს, ქართული საზოგადოებრიობის, ინტელიგენციის, მშრომელების, მოსწავლე თუ სტუდენტი ახალგაზრდობის, ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის წარმომადგენლებს გამოხატონ თავისი თანადგომა და მხარი დაუჭირონ გმირული ტრადიციების მქონე ქართველ იუნკერთა სკოლის აღდგენის იდეას.

**ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!**

(დასასრული მე-3 გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული)

# V რეზოლუცია

## დემოგრაფიული ექსპანსიის შესახებ

დღევანდელი საქართველოს ეროვნულ მოძრაობას, შეურიგებელ დემოკრატიულ ოპოზიციას აქვს მკვეთრად გამოხატული პოზიცია დემოგრაფიულ ექსპანსიასთან დაკავშირებით. როგორც ჩვენს მიერ არაერთგზის ყოფილა აღნიშნული, კრემლის მიერ საქართველოს ოკუპაცია და ანექსია, მისი ეროვნული უფლებების ხელყოფა გამოიხატა არა მხოლოდ საოკუპაციო ჯარების შემოყვანაში, ანტიქართული მარიონეტული რეჟიმის შექმნაში, ანტიქართულ საკადრო პოლიტიკაში, არამედ არაქართული მოსახლეობის მიერ საქართველოს უსისხლოდ დაპყრობაში, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევაში უკანონო ავტონომიების შექმნით, ცრუინტერნაციონალიზმის იდეების ქადაგებით, საქართველოს კანონიერი მოსახლეობის დისკრიმინაციით და შევიწროებით. საოკუპაციო რეჟიმმა ხელი შეუწყო არაქართული მოსახლეობის მასივების ხელოვნურ ზრდას, მის პრივილეგირებას, საქართველოში არაქართველთა ეთნოკრატიების შექმნას, ხოლო ბიუროკრატიული აპარატის კორუფციამ ხელი შეუწყო ქართველი ერისათვის უცხო ელემენტების მიერ მიწის მიტაცებაში, უკანონო ბინათმშენებლობაში, რამაც არნახული დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე დაგვაყენა საქართველოს მთელ რიგ რეგიონებში.

მოსკოვის ფსევდოინტერნაციონალისტური პოლიტიკით წახალისებული არაქართველი მოსახლეობა საქართველოს ტერიტორიაზე ქმნის არალეგალურ ანტიქართულ ორგანიზაციებს, რომელთა მიზანია არაქართველთა უკანონო ეთნოკრატიების განმტკიცება, ქართული მიწის მიტაცება, ქართველთა გაძევება მშობლიური მიწა-წყლიდან, საქართველოს ისტორიის გაყალბება, საქართველოს დემოგრაფიული აბსორბირება. ასეთებია აფხაზთა ორგანიზაცია „აიდგილარა", ოსთა ორგანიზაცია „ადამონ ნიხასი", სომეხთა ორგანიზაციები: "ჯავახკი", „კრუნკი", „მიუცუნი" და სხვანი; აზერბაიჯანელთა ორგანიზაციები: „ყაირათი", „შაჰ აბაზ მეორე", აგრეთვე ე. წ. თურქ-მესხთა ორგანიზაციები. ამასთან დაკავშირებით ჩვენ, კონფერენციის მონაწილენი ვაცხადებთ შემდეგს:

1. ყველა ზემოხსენებული ორგანიზაცია ჩვენი მოძრაობის მიერ უნდა დაიგმოს, გამოცხადდეს ანტიქართულ დანაშაულებრივ დაჯგუფებად და მათ წინააღმდეგ უნდა გაიმართოს დაუნდობელი ბრძოლა.

2. საქართველოს არაქართველი მოსახლეობის ნაწილი, რომლის წინაპრები არ ცხოვრობდნენ საქართველოში, რომელმაც ფეხი მოიკიდა ჩვენს ტერიტორიაზე ძალადობით, მიწების უკანონო მიტაცებით, უკანონო ბინათმშენებლობით, უკანონო ჩაწერით თუ ფიქტიური ქორწინებით, რომელიც ეწევა დანაშაულებრივ, ანტიქართულ საქმიანობას, უნდა გამოცხადდეს უკანონო მოსახლეობად და მის წინააღმდეგ მიღებული იქნას შესაბამისი ზომები.

3. შეიქმნას სპეციალური მექანიზმი მიგრაციისა და იმიგრაციის გასაკონტროლებლად, რომელიც აკრძალავს არაქართველი მოსახლეობის უკონტროლო შემოსვლას საქართველოში და ხელს შეუწყობს უკანონო მოსახლეობის მიგრაციას საქართველოდან.

4. არაქართველი მოსახლეობის იმ ნაწილს, რომლის წინაპრები ცხოვრობდნენ საქართველოში, რომელმაც იცის ქართული ენა და პატივს სცემს მას, მხარს უჭერს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, გარანტირებული ექნება ყოველგვარი ხელშეუხებლობა.

5. არაქართველთა პოლიტიკურ პარტიებთან თუ ორგანიზაციებთან მოლაპარაკება, მათთან ერთად ერთობლივი მიტინგების თუ კონფერენციების ჩატარება, განხორციელდეს მხოლოდ ეროვნულ ფორუმთან შეთანხმებით.

# VI რეზოლუცია

ვინაიდან საქართველოში კომკავშირის არსებობა განპირობებულია 1921 წლის 25 თებერვლის ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიითა და აქ კომუნისტური დიქტატურის დამყარებით, ვინაიდან კომკავშირი დღიდან დაარსებისა წარმოადგენს კოლაბორაციონისტულ ორგანიზაციას, ვინაიდან კომუნისტური პარტიისა და კომკავშირის იდეოლოგია ძირშივე უპირისპირდება ყოველივე წმინდასა და ეროვნულს, ვინაიდან კომკავშირი, კომპარტიასთან ერთად, კაცობრიობისათვის სატანებად მოვლენილი ლენინის, სტალინისა და მათი თანამოაზრეების იდეების რეალური ხორცშემსხმელია, ვინაიდან კომკავშირი 68 წლის განმავლობაში ძარცვავს და აკაბალებს საქართველოს ახალგაზრდობას, ვინაიდან კომპარტიამ და კომკავშირმა ქართველთა გარკვეულ ნაწილს დაკარგვინა პატრიოტიზმის გრძნობა, გააყიდვინა სამშობლოს მიწები, დააქცევინა ეკლესიები და მონასტრები, აქცია ისინი ჯაშუშებად, დამსმენებად და მიტინგების დამრბევებად — ჩვენ ვაცხადებთ, რომ კომკავშირს არა აქვს არსებობის უფლება და მოვითხოვთ:

1. ამა წლის 20-21 მარტს დანიშნულ კომკავშირის ყრილობაზე საქართველოს ალკკ ორგანიზაცია გამოცხადდეს გაუქმებულად (ყრილობის გადატანა ან დროებით შეწყვეტა ყოვლად დაუშვებელია).

2. ამ ორგანიზაციის განმგებლობაში მყოფი ჟურნალ-გაზეთები იქცეს დამოუკიდებელ — თავისუფალ ახალგაზრდულ პრესად.

3. საკავშირო და რესპუბლიკურ ბალანსზე მყოფი კომკავშირის უძრავ-მოძრავი ქონება გამოცხადდეს საქართველოს ახალგაზრდობის საკუთრებად.

4. კომკავშირის მატერიალურ-ტექნიკური და ფულადი სახსრები მოხმარდეს საქართველოს ახალგაზრდობას.

5. იმ შემთხვევაში თუ დღეს არსებული კომკავშირის ბაზაზე შეიქმნება რაიმე პოლიტიკური ან საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია, მასში გაწევრიანება და მისი მატერიალურ-ფინანსური ბაზის შექმნა უნდა დაიწყოს ნულოვანი რაოდენობიდან.

დღეს ჩვენი მთავარი ამოცანაა, ვიხსნათ ქართველი ახალგაზრდობა კომუნიზმის სენისაგან!

ღმერთი იყოს ქართველი ერის მფარველი ამ დიდ მამულიშვილურ საქმეში!

# კიდევ ერთხელ ჯავახეთის გასაჭირზე

„ვცხოვრობ ძველ სახლში, კედლები მიწით არის აშენებული, ჭერი და იატაკი დამპალია, თოვლის და წვიმის წყალი სახლში ჩამოდის, კედლები ნახევრად მიწაშია მოქცეული, მთლად დახეთქილი და დაბზარულია. სახლში სინესტეა... ზუსტად დაავადების კერაა... პატარაობიდან სულ ფიზიკურ შრომაში ვარ ჩაბმული. მყავს სამი შვილი. ვთხოვთ, ჩემი განცხადება გულდასმით განიხილოთ და, თუ ღირსი ვარ, ბინა ამიშენოთ. რვა და აგ ოთახს არ ვითხოულობ, სამოთახიანი და ერთსართულიანი ბინაც მეყოფა. წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვარ აქაურობა მივატოვო და სხვაგან გადავსახლდე, მაგრამ სად წავიდე? მივატოვო მშობლიური კუთხე, ჯავახეთი, სადაც ქართველები ისედაც თითზე ჩამოსათვლელები არიან?!"

განცხადებას, რომელიც მიმართულია საქართველოს სახალხო ფრონტის გამგეობისადმი, ხელს აწერს სოფელ კოთელიის ერთ-ერთი მცხოვრები (გიორგი ყავრელაშვილი, რომელმაც ისიც კი მითხრა, ამ ჩემი დანგრეული სახლის გაყიდვას და აქედან აბარგებას ვაპირებდი, მაგრამ უცხოტომელი მევაჭრებოდა, თანაც რომ გავიგე, აჭარიდან ჩამოჰყავთ ჯავახეთში დასასახლებლადო, გავიხარე, ქართველები ჩამოდიან, მე კი ახლა როგორ წავიდე აქედან, თანაც გადამთიელი როგორ ეახარო ჩემს ნაფუძარზე-მეთქი.

ასეთი განცხადებები ტიპიურია თითქმის ყოველი ჯავახელისათვის, რადგან ყოველ მათგანს ერთი და იგივე გასაჭირი აქვს: ზოგს ცოლი ვერ შეურთავს უბინაობის გამო, ზოგს იმის გამო, რომ ოჯახს ვერ გამოყოფია, საკარმიდამო მიწის ნაკვეთს არ აძლევენ, ვერ დასაქმებულა... სოფლებს არა აქვს კეთილმოწყობილი სკოლები, აქვთ სამედიცინო, კულტურული მომსახურება. უგზოობა ხომ საერთოდ იმაზე მეტყველებს, რომ ამ მხარეს სამოცდაათი წელია პატრონი არა ჰყოლია. ლამის კეთილდღეობით მოკვეთილი გვქონდა და იმ ძირძველ ქართულ მიწაზე უცხო ტომი ვახარეთ. ჩვენივე ბეცლოვლათობის ბრალია, რომ დღეს სახლები შენდება (თუმცა ჯერ კიდევ ბევრია ასაშენებელი). მაგრამ არც ამ მხარის მკვიდრი მოსახლეობა, ჯავახელები უნდა დავივიწყოთ, მიწურებში რომ ცხოვრობენ. მუდამ უნდა გვახსოვდეს და ჯეროვნად ვაფასებდეთ იმ უდიდეს თავგანწირვას, სწორედ რომ თავგანწირვას, რომელიც გამოიჩინეს ჩვენს მიერ დღეს ჯავახეთში ქართველი კაცი ხიზანივით გრძნობს თავს.

დიდი ზრუნვა და დახმარება სჭირდება ჯავახეთს. შველას ითხოვენ ქონგურებჩამოშლილი ციხეები. აღდგენა-რესტავრაციას მოითხოვენ ქართველთა უძველესი სალოცავები, ურჯულოთა მიერ თვალებდათხრილი ხატები. ქართველთავე ზრუნვით უნდა აღდგეს ნასოფლარები, ნაფუძარები, ნასახლარები. ქართველი კაცი უნდა გაღონიერდეს ამ დალოცვილ მიწაზე.

რა აჩერებს ამ მცირე ქართველობას აქ, ამ უგზოობაში, გაპარტახებულ, გავერანებულ მხარეში, სადაც უცხო ტომი მომრავლებულა, გაძლიერებულა? რა ძალაა ის, რაც ასეთ პირობებში აკავებს მას ამ მიწაზე? რა და, გენეტიკური მახსოვრობა, სიყვარული მიწისა, სალოცავებისა, წინაპართა საფლავებისა!

ჯავახეთმა პირველმა მიიღო სტიქიით დაზარალებული აჭარლები, გული გადაუშალა მას, ლუკმა გაუყო. აჭარელთათვის ასე უგულოდ მიტოვებულ კუთხეში ქართული სულის შესანარჩუნებლად. დიდი იმედითა და სიხარულით შეხვდნენ ჯავახელები აჭარელთა გადმოსახლების ამბავს, ახლა მეტი ვიქნებით, ერთმანეთს მხარში ამოვუდგებით და არაფერს გავუჭირვებთო. იცით, აჭარლები რას ამბობენ ჯავახელ ძმებზე? ამათაც ძალიან უჭირთ, ამათაც აუშენეთ სახლები და ჩვენ უსასყიდლოთ ვიმუშავებთ ამ მშენებლობაზეო. სწორედ ამაზე უთქვამს ქართველ კაცს, ძმა ძმისთვის და შავი დღისთვისო.

აი კონკრეტულად ის პრობლემები, რომლებიც აწუხებს აქაურ მოსახლეობას (სოფელ კოთელიის მაგალითზე):

საცხოვრებელი ბინების პრობლემა — არც ერთი ჯავახელი არ უნდა ცხოვრობდეს მიწურში.

დახმარება მრავალშვილიან ოჯახებს;

დახმარება მარტოხელა დედებს;

დახმარება ახალგაზრდა ოჯახებს.

სოფლებს არა აქვს მასწავლებელთა სახლი, სადაც განაწილებით ჩასული მასწავლებლები იცხოვრებენ, არა აქვთ კულტურის სახლი, ატელიეები, საპარიკმახეროები. არ არის მილიციის პუნქტი, რადიოტელესახელოსნო, აბანო, არ არის გზები. ყოვნდება ქართული სკოლების მშენებლობა.

სოფელ ბარალეთში არის ქართული ეკლესია, მაგრამ დაკეტილია, უმოქმედოა, სინესტისაგან დაზიანებულია. სოფელ კოთელიაშიც გამოკეტილია ქართული ეკლესიის კარი. საჭიროა მათი შეკეთება, აღდგენა და ამოქმედება, რომ ქართველმა კაცმა კვლავ აღავლინოს ლოცვა თავის სალოცავში.

არც ციხე-ბურჯებია ჩვენგან მიტოვების ღირსი, მათაც შეკეთება სჭირდება.

კარგი იქნება, თუ ჯავახეთის სკოლების ბავშვთა ნამუშევრებს პერიოდულად გამოვფენთ თბილისში. ჩამოვიყვანთ მათ დედაქალაქში დავათვალიერებინებთ მუზეუმებს, წავიყვანთ თეატრებში, პანთეონებში, გაკვეთილებს ჩავუტარებთ უნივერსიტეტში.

სასურველია, კონსერვატორიის სტუდენტები მორიგეობით თითო დღით ჩავიდნენ თვეში ერთხელ და ჯავახელ ბავშვებს გაკვეთილები ჩაუტარონ.

უდავოდ სწორი გადაწყვეტილება მიიღო საქართველოს სახალხო ფრონტის გამგეობამ, როცა დემოგრაფიულად ისეთ რთულ რაიონებში, როგორიცაა, ახალქალაქის, ბოგდანოვკისა და სხვა, დაასახელა უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები. როცა თორმეტი ათასი ამომრჩევლიდან ოცდაათი, ასი, თუ უკეთეს შემთხვევაში, სამასი ქართველი ამომრჩეველია, არჩევნები, რომ იტყვიან, წინასწარვე წაგებულია. მაგრამ როგორ პარადოქსულადაც არ უნდა ჩანდეს, სწორედ ასეთ რაიონებშია აუცილებელი დეპუტატობის დასახელება სახალხო ფრონტიდან, რათა წინასაარჩევნო მუშაობა აწარმოონ ამ ოლქებში. მომავალი გამარჯვების ძალა შემატონ და იმედი ჩაუსახონ სწორედ ამ 100-ოდე ქართულ ოჯახს. უზენაესი საბჭოს არჩევნები კი ამ ოლქებში, ჯერჯერობით, მართლაც, წაგებულია. მაგრამ ჩვენ, ქართველებმა, თავისუფლებისათვის ბრძოლა არ უნდა წავაგოთ.

გულთან ახლოს მივიტანოთ, ყური მივუგდოთ ჯავახელთა გულისტკივილს, მათ დრტვინვას, მათ სასოწარკვეთას, ზოგჯერ აქაიქ, მბჟუტავი ნაპერწკალივით რომ გაიკიაფებს იმედიანი, ოპტიმისტური სიტყვები.

ახლადარჩეულმა საქართველოს უზენაესმა საბჭომ თავის პირველსავე სესიაზე უნდა შექმნას ჯავახეთისა და მესხეთის პრობლემათა შემსწავლელი კომისია, რათა სახელმწიფო დონეზე დაისახოს მათი განახლებისა და აღორძინების გეგმა.

იმედი მაქვს, რომ ქართველები არც ჯავახეთს მივატოვებთ ბედის ანაბარად და დახმარების ხელს გავუწვდით.

წინადადება შემომაქვს დაარსდეს ჯავახელთა დახმარების ფონდი.

**ანდრო მამისაშვილი**

ჩვენი საჭირბოროტო

# „თავისუფლების შოვნაი სჯობს საშოვნელსა ყველასა" ანუ ვის სჭირდება აჭარის ავტონომია?

**შესავლის მაგიერ.** **სამყაროს ყველა თავისი სამზერიდან აღიქვამს და, ამდენად, ნებისმიერი წარმოდგენა თუ აზრი მეტნაკლებად სუბიექტურია... არც ჩემს ქვემოთ წარმოდგენილ მსჯელობას აქვს უცილობელი ჭეშმარიტების პრეტენზია, მხოლოდ იმას ვამბობ, რასაც მე, კერძო პირი, ვხედავ და განვიცდი.**

საკუთარი ოჯახის უფროსად მეზობელს არ იწვევენ. ერი ერთიანი, დიდი ოჯახია და, ბუნებრივია, უძველესი ტრადიციებისა და ხანგრძლივი სახელმწიფოებრიობის მქონე ხალხს გადამთიელი არ უნდა ჰყავდეს ბედის განმგებლად. ეს ელემენტარული ჭეშმარიტება ყველა ქართველისთვის ნათელია, მაგრამ კეთილდღეობის კარგვის შიშით, ბევრი ისევ სირაქლემას როლში ამჯობინებს ყოფნას; მიუხედავად ასეთ „მსახიობთა" სიმრავლისა, მთლიანობაში დღეს ქართველი ერი მაინც ძალიან ძლიერია: ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში ალბათ არ ყოფილა ქართველობა ასე ერთიანად მომზადებული თავისუფლებისთვის; მხოლოდ ახლა აღსრულდა დიდი ილიას ოცნება, საქართველომ ხანგრძლივი ძილისგან გამოიღვიძა და თავისუფლება ისე მოსწყურდა, „ვითა ირემსა მაშურალსა სურინ წყაროსა მიმართ წყალთასა"... ახლოსაა საქართველოს სახელმწიფოს ხელახალი აღზევების დასაწყისი — იმპერიული კლანჭებიდან თავის დახსნის დღე, მაგრამ მიზნამდე ჯერ კიდევ არის დარჩენილი გადასალახავი ბარიერები. ხელისშემშლელი მიზეზები ორგვარია — გარეგანი და შინაგანი:

გარეგან მიზეზთაგან არსებითია რუსეთის მოდერნიზებული იმპერიის სირთულე; გარდა ამისა, საცეცებისგან თავის გამოხსნა; გარეგან ბარიერად ჩაითვლება ისიც, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას (და სხვა საერთაშორისო გაერთიანებებს) საქართველო ჯერ კიდევ არ უცვნია ანექსირებულ სახელმწიფოდ... გარეგანი წინაღობების მოხსნა იოლი იქნება, თუკი დაიძლევა შინაგანი დაპირისპირებანი, თუკი ქართველი ერი ერთ მუშტად შეიკვრება და გაჰყვება ეროვნული მოძრაობის იმ ლიდერებს, რომლებიც აგერ უკვე 30 წელზე მეტია, ერის უკეთესი მერმისისათვის ზეადამიანური ამტანობით იბრძვიან (საბედნიეროდ, დღეს ჩვენი ერი მზადაა ზვიად გამსახურდიას, აკაკი ბაქრაძის, მუხრან მაჭავარიანის და სხვა ეროვნულ მოღვაწეთა მოსასმენად და აღარ არის საშიშროება ისევ სოციალ-დემოკრატების საჯიჯგნი გახდეს ქართლოსის სამემკვიდრეო).

ამჟამად არსებულ შინაგან წინააღმდეგობათაგან ორია არსებითი:

1. ეროვნულ მოძრაობაში მომრავლდნენ და მომძლავრდნენ ამბიციურ პირთაგან შემდგარი დაჯგუფებები, რომელთა ლიდერთაც მაინცდამაინც პირველი ეროვნული მოღვაწის მანტია სურთ მოისხან; ეს თავისთავად ცუდი რამ არ გახლავთ, თუკი ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ბრძოლა პირველობის მოსაპოვებელ ასპარეზად არ გადაიქცევა... სამწუხაროდ, დღეს ბევრს უკვე აღარ ახსოვს დავით გურამიშვილისეული წარსულის სურათები: „მერმე შინათ აიშალნენ, ძმამ მოუდვა ძმასა ყისტი, თავის თავსა ხმალი იცეს, გულთა მოიხვედრეს ხიშტი"... ან მოჩხუბარ მამლებზე თქმული: „...რა ორნივე დაღალულნი, ძაღლმან ნახოს, პირი ჰკიდოს"...

2. ბოლშევიკთა გამყიდველური მოქმედებით ქართული მიწა-წყალი თავიდანვე უკანონო ავტონომიებად დანაწევრდა (კანონიერი აფხაზეთის ავტონომიის საზღვრები უმართებულოდ გააფართოვეს); რაც, ერთი მხრივ, დღესაც ხელს უშლის ერთიანი ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებას, ხოლო, მეორე მხრივ, ქართველთათვის მიწა-წყლის წაგლეჯის მსურველთა მადას პერმანენტულად აღვიძებს...

თავისი აბსურდულობით ყველაზე უფრო დიდ აღშფოთებას იწვევს აჭარის ავტონომია — **ქართველთა ავტონომია საქართველოში!**

ძირძველი ქართველები — დღევანდელი აჭარის მკვიდრნი — პირველ საუკუნეშივე ეზიარნენ ქრისტეს მცნებას და ამ რჩეულობისათვის კიდეც ეწამენ: 300 წლით ადრე მიიღეს ქრისტიანობა და განგებამ 300 წლით მოაშორა დედასამშობლოს აქაურნი... საქართველოსთან შემოერთების შემდეგაც (უფრო ზუსტად — რუსეთის დაპყრობის შემდეგაც) არ მოჰკლებიათ უბედურნი დღენი: ჯერ რუსეთ-თურქეთის ერთობლივი მოქმედებით ბევრმა აჭარელმა შიშით თუ იძულებით დატოვა სამშობლო, მუჰაჯირად (ემიგრანტად, ლტოლვილად) იქცა და საფლავი ჩაჰყვა „მემლექეთურთა" — სამშობლოს მკვიდრთა — დარდი (მათ ეგონათ, რომ თავისიანებს რუსეთის შემოსვლით თურქეთის ანექსიაზე უფრო დიდი უბედურება დაატყდათ თავს, ამასწინათ, თურქეთიდან ჩამოსულმა ერთმა ქართველმა მითხრა: „აღარ მეგონა თუ ქართული აქაც, თბილისშიც, იცოდით; დიდი მადლობა, რომ ამფერი კაი ქართული შიგინახვანო")... შემდეგ ბოლშევიკებმა, თავიანთი გამყიდველობა რომ გაემართლებინათ, აჭარლები არაქართველებად გამოაცხადეს („მენშევიკები" აქამდე მაინც არ დაცემულან) და ავტონომიის აუცილებლობა ამგვარად ახსნეს; სინამდვილეში კი ისტორიული მესხეთი „ახალგაზრდა იმპერიების" პოლიტიკურ გარიგებას შეეწირა (ჩვენმა სამშობლომ დამპყრობთა ხელში ვალუტის მაგივრობა გასწია!): ცნობილია, რომ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ საბჭოთა რუსეთსა და ქემალისტურ ოსმალეთს საერთო მიზანი გაუჩნდათ — ბრძოლა ანტანტის წინააღმდეგ (ვ. ნოზაძე); თავისი ახალი მოკავშირის თხოვნით რუსეთმა ოსმალეთს დაუთმო ლივანა, ჰანეთი, შავშეთი, კლარჯეთი, ტაო, ბასიანი, ისპირი, თორთომი, არტაანი, კოლა, ჩილდირი; თურქეთის თხოვნითვე, რუსეთის შემადგენლობაში დარჩენილ აჭარას ავტონომია მიეცა, ბათუმი კი თავისუფალ ქალაქად გამოცხადდა (ამით ოსმალეთმა აჭარის ისევ მიტაცების შანსი დაიტოვა!)... ეს ხელშეკრულება გაფორმდა 1921 წ. 16 მარტს ქ. მოსკოვში (ამ ხელშეკრულების ჩვენთვის საინტერესო ნაწილი უკვე ცნობილია ფართო მკითხველისთვის ო. ზოიძისა და მ. მახარაძის პუბლიკაციებიდან), 1921 წ. 18 მარტს კი ბათუმი წითელმა არმიამ აიღო...

როგორც ვხედავთ, აჭარის ავტონომიის შექმნის რეალური საფუძველი იმპერიული გარიგება გახლდათ (არ დაგავიწყდეთ, **ეს ყველაფერი ჩვენი, ქართველი ერის სრული იგნორირებით ხდება!**), გარიგება, რომელმაც დიდი ხნით კვლავ დაგვაშორა აშოტ დიდისა და გრიგოლ ხანძთელის ნალოლიავებ სანახებს და თითქმის სანახევროდ ჩამოაცილა დედა-სამშობლოს მრავალტანჯული აჭარა; ეს „გარიგება" იურიდიულად დაადასტურა საქართველოს ბოლშევიკურმა მთავრობამ 1921 წ. 13 ოქტომბერს...

ბოლშევიკთა მემკვიდრე დღევანდელ ხელისუფლებას ახლაც არ სურს წარსულის შეცდომების გამოსწორება, თორემ ის აქამდეც იზრუნებდა ქართული ცნობიერების დამმახინჯებლის — აჭარის ასსრ-ს გაუქმებისათვის; ან სულ ცოტა, ამ უკანონო ავტონომიურ წარმონაქმნში „ნამესტნიკის" (მეორე მდივნის) შეურაცხმყოფელი ინსტიტუტის მოსპობისკენ მაინც გადადგამდა ერთ ნაბიჯს. სამწუხაროდ, საქართველოში დღესაც გრძელდება დიდ იმპერიათა მიმართ მაამებლური მოქმედება საკუთარი ხალხის ხარჯზე, დღესაც აჭარის ქართველობა ეწირება დიდ პოლიტიკას — სხვა რას უნდა მიეწეროს აჭარის ავტონომიის შენარჩუნების თავგამოდებული მცდელობა თუ არა „ძლიერთა ამა სოფლისათა" მაამებლობას? იმპერიულ ძალებს აჭარის ავტონომიის გაუქმება იმიტომ არ სურთ, რომ ავტონომიის გაუქმებით დაირღვევა ორ დიდ იმპერიას შორის 1921 წ. 16 მარტს დადებული „ძმობისა და მეგობრობის ხელშეკრულება"...

მოსკოვის რეაქციული ძალების ხელში აჭარის ავტონომია უფრო საშიში კოზირია, ვიდრე აფხაზეთის ან ოსეთის ავტონომიური წარმონაქმნი, ვინაიდან მოსკოვს ყოველთვის შეუძლია ეროვნული მოძრაობის დაშინება აღნიშნული ხელშეკრულების გადასინჯვის მუქარით... ვფიქრობთ, ნათელია, თუ რატომ არის დაინტერესებული იმპერიული ძალები აჭარის ავტონომიის შენარჩუნებით. მათ გარდა ავტონომიის სტრუქტურა ხელს აძლევს ადგილობრივ ბიუროკრატიას და „ჩრდილოვანი ეკონომიკის" მესვეურთ; ისინიც აქტიურად იღწვიან, რომ როგორმე რაიმე გამართლება მოუძებნონ ქართული ორგანიზმის ამ სიმახინჯის (ავტონომიის) არსებობას; მათი მცდელობა ძირითადად სამი მიმართულებისაა:

ა) ისინი მუშაობენ აჭარაში მუსლიმანობის აღორძინებისათვის; მათ სწორედ რელიგიაში ეიმედებათ ავტონომიის გამართლების მყარი საფუძველი; ზოგი აჭარაში მუსლიმანობის შენარჩუნებას (resp. აღორძინებას) აუცილებლადაც მიიჩნევს: „თუ აჭარაში მუსლიმანობას შევინარჩუნებთ ((resp. ავაღორძინებთ), ამით სხვა მუსლიმან ქართველთა დაბრუნების შანსი გაიზრდება" — ამბობენ ისინი... არ მინდა ამის მთქმელთ მოღალატეები ვუწოდო; ალბათ ზოგს უფრო შორს გახედვა არ შეუძლია და მისდაუნებურად მიჰყვება შაჰ-აბაზის, მურვანყრუს, აღა-მაჰმად-ხანის გზას... აჭარაში მუსლიმანობის დამცველთ სურთ კიდევ ერთხელ გაწირონ საქართველოს ეს ულამაზესი კუთხე ისლამის სიბნელისათვის; მათ კიდევ ერთხელ უნდათ გამოიყენონ აჭარის ქართველობა საზარბაზნე ხორცად! ხალხი ძლივს იშუშებს დამპყრობელთა მიერ მიყენებულ იარებს (ღმერთის მადლობა, უკვე დაწყებულია აჭარის მკვიდრთა მასიური დაბრუნება წინაპართა რჯულზე) და ისევ ჯამეებზე და ქართულენოვანი ყურანის გავრცელებაზე ლაპარაკი?! ამას თუ არა, სხვას რას უნდა ეწოდოს ერის ღალატი; აჭარის მკვიდრთა რელიგიურობის შესახებ ვრცელი მსჯელობები გვქონდა წინა წერილებში („სიტყვა მოზომილი" „ახკომი", 7 მარტი, 1989 წ.; „ფრთხილად, ბატონებო" ახკომი 31. X, 1989 წ.; „განურჩეველი განაჩენის შესახებ", „თბილისი", 15 დეკემბერი, 1989...) და აქ აღარ გავიმეორებ, აღვნიშნავ მხოლოდ ერთს: **დიდი შემობრუნება დაწყებულია და შეუწყნარებელია ხელოვნური ჩარევებით წყლის ამღვრევა...**

ბ) სხვადასხვა ჯურის აგენტები აჭარაში ავრცელებენ ჭორებს, რომ ავტონომიის გაუქმების შემთხვევაში, კუთხეებს შორის არსებული საზღვრები გადაისინჯება... ღმერთს მადლობა, დღეს მაინც დამდგარია დრო, როცა არსებითი მნიშვნელობა უკვე აღარა აქვს თუ სად იწყება საქართველოს ერთი კუთხის ტერიტორია და სად მთავრდება: **დღეს საქართველო მთლიანია,** ყველა ქართველი საქართველოს ყველა კუთხეში მკვიდრი მოსახლეა (განა რაჭველები, აჭარლები, მეგრელები, იმერლები... ბედნიერად არ ცხოვრობენ სამცხეში, ჯავახეთში, კახეთში, ქართლში, გურიაში?..) და, ვინც ამ ჰარმონიის დარღვევას ცდილობს, საკუთარი თავისა და ერის მტერი არ არის?

გ) „ავტონომისტების" აზრით, აჭარის ავტონომიის არსებობა აადვილებს კუთხის ეკონომიკის ეფექტიან მართვას... არ ვიცი, წარსულში შეიძლება მართლაც ითამაშა ავტონომიამ ამ მხრივ რაღაც როლი, მაგრამ დღეს ვერავინ ხედავს ამ „ეფექტიანი მართვის" შედეგებს... და თუ მაინცდამაინც აუცილებელია სახალხო მეურნეობის მართვის ორგანიზაციის სრულყოფა, მთლიანი საქართველო დავყოთ ეკონომიკურ ზონებად (და არა ავტონომიებად); მაგ.: აჭარა-გურიის ზონა, იმერეთ-ლეჩხუმის ზონა, შიდა ქართლის ზონა (გორი-ცხინვალის რეგიონი), სამცხე-ჯავახეთის ზონა, ოჩამჩირე-ზუგდიდის (სამეგრელოს) ზონა და ა. შ.

●

ყველა ნორმალურად მოაზროვნე ქართველი ხედავს, რომ ქართველთა ერთი ნაწილის ავტონომია საქართველოში — [illegible] საზიანო მითქმა-მოთქმის საფუძველი და, რაც მთავარია, საერთო-ქართველური ცნობიერების ჩამოყალიბების ძირითადი ხელისშემშლელი ფაქტორია; ამიტომაც პატიოსანი და საქმეში ჩახედული ქართველი დაინტერესებული არ უნდა იყოს აჭარის ავტონომიის შენარჩუნებით: მე, მგონი, კარგად ვიცნობ ჩემი მშობლიური კუთხის (დავიბადე და გავიზარდე ზემო აჭარაში) მცხოვრებთა განწყობას; დიდი ნაწილი მომხრეა ამ დამთრგუნავი, სხვა ქართველებისგან გამმიჯნავი ავტონომიის გაუქმებისა (ამასვე ადასტურებს რესპუბლიკურ პრესაში გამოქვეყნებული აჭარის მკვიდრ მეცნიერთა და ასპირანტთა კოლექტიური წერილები); არიან ისეთებიც, რომლებიც იმპერიული და სხვა ბნელი ძალების მიერ არიან დეზინფორმირებულნი და, ამდენად, ავტონომიის შენარჩუნებას საჭიროდ თვლიან. პროვოკატორის მიერ გზასაცდენილ პატიოსან კაცს თუკი გავაგებინებთ, რომ **ავტონომია — ეს დამატებითი ბიუროკრატიული აპარატი — არც მშრომელ კაცს (გლეხს, მუშას, ინტელიგენტს) არგია და არც ახალდაბადებულ მომავალ თაობას, ხელს უწყობს მხოლოდ საქართველოს მტრებს და ადგილობრივ მაფიას,** ე. ი. თუ **გავააზრებინებთ საქმის ნამდვილ არსს, ავტონომიის მომხრეთა რიცხვი მინიმუმამდე ჩამოვა** და ჩვენ ხელთ შეგვრჩება სწორედ ის ხალხი, რომელთაც, საკუთარი კარიერისა და ბნელი ზრახვების ხორცშესხმის გარდა, არაფერი აინტერესებთ. აქედან გამომდინარე, ჩემი კუთხის მცხოვრებლებს ვთავაზობთ გარკვეული მოსამზადებელი სამუშაოების შემდეგ ჩავატაროთ სახალხო რეფერენდუმი (საყოველთაო გამოკითხვა); მხოლოდ ამ „გამოკითხვის" შემდეგ კანონიერად მოვიშორებთ იმ ისტორიულ დამღას, რომელსაც აჭარის ავტონომია ჰქვია (**ავტონომიის გაუქმება აჭარის მკვიდრთა საქმეა, მათი საპატიო და ისტორიული მოვალეობაა და ცენტრი არ უნდა ჩაერიოს**). რეფერენდუმის დროს ბნელი ძალებიც გამოამჟღავნებენ თავს და ბოლოსდაბოლოს გაირკვევა, ვინ ამღვრევს წყალს და ვის აწყობს ჩვენი მხარის ქართველთა გამოცალკევება საერთო-ქართველური ოჯახიდან; ვის უნდა ჩვენი გადაჯიშება ან, საერთოდ, მოსპობა (ყოველგვარი გამოცალკევება რომ დამღუპველია, ეს კარგად ჩანს საქართველოს ისტორიის ზერელე გადახედვითაც; საქართველოს ყველა კუთხე მხოლოდ მაშინ იქნება ძლიერი და ბედნიერი, თუკი თავისუფალი საქართველოს მთლიანი ორგანიზმი აღდგება და გაძლიერდება!).

●

„...და ისევ პირველსა სიტყვასა მოვიდეთ": თუ ჩვენ შევძლებთ დღევანდელ საქართველოში ზემოთ დასახელებული ორი შინაგანი წინააღმდეგობის დაძლევას, იოლად გადავლახავთ გარეგან ბარიერებსაც და მივალთ საოცნებო ტაძრამდე — თავისუფალ, ერთმორწმუნე, დემოკრატიულ საქართველომდე; ახლა კი სიფრთხილეა საჭირო, ამირანის ბორკილები დაწყვეტაზეა და **ნუღარ დავაცლით ბორკილთა მჭედელს ხელახლა დაჰკრან ურონი გრდემლებს...** ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

**ტარიელ ფუტკარაძე,**
ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

**ავტორის თხოვნით ჰონორარი გადაირიცხება მერაბ კოსტავას სახელობის ფონდში.**

# მიმართვა საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების მუშაკებს

**იმისათვის,** რომ საქართველოს პოლიტიკურ დამოუკიდებლობას მივაღწიოთ და შევქმნათ სამართლებრივი სახელმწიფო, დღეს და მომავალში შეუთავსებლად მიგვაჩნია სამართალდამცავი, სასამართლოს, პროკურატურის, იუსტიციის შინაგან საქმეთა ორგანოს მუშაკები იმყოფებოდნენ ამა თუ იმ პოლიტიკური პარტიების შემადგენლობაში, მათ შორის სკკპ რიგებში, რამეთუ პარტიის რიგებში ყოფნა ხელს უშლის კანონის უზენაესობის პრინციპის დაცვას მათ ყოველდღიურ საქმიანობაში. დასამალი არ არის, რომ სამართალდამცავი ორგანოები ავტორიტარული სახელმწიფოს აპარატის მორჩილ ხელქვეითად იქცა და არა სამართლიანობისათვის მებრძოლ ავანგარდად.

ვაღიარებთ რა პარტიის დიქტატს დღემდის ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროსა და მათ შორის სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობაზე, მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ დაუყოვნებლივ იქნას მიღებული კანონი სამართალდამცავი ორგანოების მუშაკებისათვის, რომელიმე პოლიტიკურ პარტიაში ყოფნის აკრძალვის შესახებ, თუ გვინდა, რომ ისინი ნამდვილად ჩადგნენ ხალხის სამსახურში.

აღნიშნული მოწოდება დროულია და მისი გადადება მხოლოდ ზიანს მოუტანს ხალხის ნების გამომხატველ კანონების უზენაესობის განხორციელებასა და სამართლებრივი სახელმწიფოს ახალი მოდელის შექმნას საქართველოში.

აღნიშნული წესი სავალდებულოდ უნდა იყოს მიჩნეული მაშინაც, როდესაც კონსტიტუციურად აღიარებული იქნება მრავალპარტიული პოლიტიკური სისტემა. გვჯერა და ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ჩვენს მიმართვას გამოეხმაურება სამართალდამცავი ორგანოს ყველა მუშაკი და ერთიანი ძალისხმევით მივაღწევთ სასურველ მიზანს — სამართალდამცავი ორგანოების დეპოლიტიზაციას.

**თბილისის ლენინის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების მე-2 საქალაქო ქვეგანყოფილების უფროსი, მილიციის მაიორი.**

**გია გულუა,**

**თბილისის ლენინის რაიონის პროკურორის თანაშემწე**

**ვახტანგ თორდია,**

**თბილისის აკ. ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტები, დამნაშავეობასთან მებრძოლი ახალგაზრდული ორგანიზაციის საინიციატივო კომიტეტის წევრები.**

**ბესიკ მორჩილაძე,**
**დავით ჯიბლაშვილი.**

**რედაქციისაგან:** **13 მარტს საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა მე-3 ყრილობაზე „უმცირესობის" ერთ-ერთმა წარმომადგენელმა დააყენა ეს საკითხი, კერძოდ სამართალდამცავი და სასამართლო ორგანოების დეპოლიტიზაციის საკითხი, მაგრამ როგორც არაერთ კარგ წამოწყებას, მას ხმალამოღებული შეხვდა „უმრავლესობა". ამდენად საკითხის განხილვა გაუთვალისწინებელი ვადით გადაიდო.**

**ქართველ ჯარისკაცთა ინტერესებისა და უფლებების დაცვის საქველმოქმედო საზოგადოების საინიციატივო ჯგუფის**

# მოწოდება ქართველი ხალხისადმი

ბოლო ხანებში საბჭოთა არმიის რიგებში შეინიშნება ქართველი ეროვნების მქონე ჯარისკაცთა მასობრივი დევნა-შევიწროება, რაც ხშირ შემთხვევაში ტრაგიკულად მთავრდება.

ქალაქ რუსთავის ამიერკავკასმეტალურგმშენის № 1 სამშენებლო ტრესტთან არსებული სახალხო ფრონტის ინიციატივას შექმნილიყო ქართველ ჯარისკაცთა ინტერესებისა და უფლებების დაცვის რესპუბლიკური ორგანიზაცია, მხარი დაუჭირა რესპუბლიკის სხვადასხვა ორგანიზაციისა და დაწესებულებების წარმომადგენლებმა. საზოგადოება ერის ინტერესებიდან გამომდინარე შეისწავლის და პრაქტიკულ დახმარებას გაუწევს წვევამდელებისა და ჯარისკაცების სამართლიან მოთხოვნებს, იბრძოლებს ეროვნული საჯარისო ფორმირებების შექმნისათვის.

ძვირფასო თანამემამულენო ქართველ ჯარისკაცებს, ჩვენს შვილებსა და ძმებს ჩვენგან თანადგომა და დახმარება სჭირდებათ.

საქართველოს უაზროდ შესაწირი შვილები არა ჰყავს.

საინიციატივო ჯგუფი ელის თქვენს მხარდაჭერას.

**ჩვენი მისამართია: თბილისი, მაჩაბელის ქ. № 11, საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის შენობა.**

**ტელეფონები: 99-98-82, 99-99-91, 93-79-06.**

# საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია

ა/წ 20-21 აპრილს საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია აწყობს სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციას „ეკონომიკური სწავლების სისტემის ძირეული ცვლილებები“.

კონფერენციაზე მოწვეული იქნებიან ლატვიის, ლიტვის, ესტონეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის ახალგაზრდა ეკონომისტები.

კონფერენციაში მონაწილეობის მიღების მსურველებს ვთხოვთ საკუთარი მოხსენების თეზისები წარმოადგინონ 10 აპრილამდე საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციაში.

ჩვენი მისამართია: 380008 თბილისი, ჯავახიშვილის № 16.

**საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის მმართველი კომიტეტი.**

# საქართველოს მშენებელთა რესპუბლიკური თათბირის რეზოლუცია

**აღნიშნული რეზოლუციის პროექტი მიიღო საქართველოს მშენებელთა კავშირის პრეზიდიუმმა თავის სხდომაზე მიმდინარე წლის 14 თებერვალს და რეკომენდაცია მისცა მის გამოქვეყნებას საჯარო მსჯელობისათვის. მშენებელთა რესპუბლიკური თათბირის ჩატარება წამოჭრილი საკითხების გადაჭრის გზების ძიების მიზნით ნავარაუდევია მარტის მეორე დეკადაში. საქართველოს მშენებელთა კავშირის პრეზიდიუმი მიმართავს თხოვნით რესპუბლიკის კანონმდებელ და აღმასრულებელ ორგანოებს გაატარონ ქმედითი ღონისძიებები ამ მიმართებით.**

— ჩვენს ქვეყანაში არსებული (მომქმედი) პოლიტიკური და ეკონომიკური სტრუქტურა ეწინააღმდეგება ადამიანის შინაგან კონსტიტუციას (ბუნებას), არ შეეფარდება საზოგადოების განვითარების ობიექტურ კანონებს, და ამდენად ვერ უზრუნველყოფს ვერც ეკონომიკის და ვერც საზოგადოების სწორად განვითარებას. პირიქით, თავისი არსით ხელს უწყობს კორუფციის, ჩრდილოვანი ეკონომიკის და სხვა გადახრების მასიურობას და იწვევს სტაგფლაციას, ადამიანის შრომისადმი გაუცხოებას და მისი მორალური ფასეულობების დევალვაციას.

ამიტომ პირველი რიგის ამოცანად უნდა განისაზღვროს ეკონომიკური სტრუქტურის საზოგადოებისა და ეკონომიკის განვითარების ობიექტური კანონისადმი შესაბამისობაში მოყვანა.

— დაუშვებელია წარმოების საშუალებათა პრიმატზე ხელის აღება, მოხმარების საშუალებათა წარმოების სასარგებლოდ, ვინაიდან აღნიშნული სპობს სახალხო მეურნეობის განუწყვეტელი ზრდის შესაძლებლობას, რაც თავის მხრივ იწვევს საზოგადოების განვითარების ძირითადი ეკონომიკური კანონის დარღვევას, აქედან გამომდინარე ყველა ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური შედეგებით.

— დაუშვებლად შეზღუდულია მატერიალური წარმოების სფერო, მომქმედი საკანონმდებლო, ნორმატიული და სხვა აქტებით, დებულებებით და ინსტრუქციებით. განუზომლად დიდია უპირატესობა მაკონტროლებელი, განმკარგულებელი და კანონმდებელი ორგანოების, დაგეგმვა-მართვის და დარგთა შორის ურთიერთობათა მარეგულირებელი დოკუმენტების აბსოლუტურად უვარგისობამ ყოვლად გაუმართლებელი პრიორიტეტი შეუქმნა მომარაგება-მოწოდების, მომსახურებისა და ინფრასტრუქტურის დარგებს, პროდუქციის შემქმნელის საზიანოდ. იმდენად დამახინჯებულად განვითარდა საზოგადოება, რომ დაიჩაგრა ის დარგები, რომლებიც ქმნიან ეროვნულ საზოგადოებრივ პროდუქტს, რის გამოც ცხადია დაზარალდა მთელი სახალხო მეურნეობა.

— აბსოლუტურად უგულვებელყოფილია ღირებულების კანონის მოქმედება, რის გამოც მოქმედებს საერთო ფასებთან შეუწონასწორებელი ფასები, რამაც დამანგრეველი გავლენა იქონია როგორც მთლიანად სახალხო მეურნეობაზე, ისე მთელი რიგი დარგების განვითარებაზე (სოფელი, მშენებლობა). არ არსებობს საბჭოთა კავშირში პროდუქცია, რომლის ფასი არ გაზრდილიყოს ბოლო 35 წლის მანძილზე, გარდა მშენებლობის პროდუქციისა, რომლის სამშენებლო ნაწილის ღირებულება 2-ჯერ და მეტად შეამცირეს ყოველგვარი დასაბუთების გარეშე.

ერთხელ და სამუდამოდ დადგინდეს, რომ არაფერი ისე დამანგრევლად არ მოქმედებს საზოგადოების ეკონომიკურ და მორალურ ღირებულებათა გაუფასურებაზე, როგორც ხელოვნურად დამახინჯებული, რეალობას მოკლებული ფასები. აღნიშნული მოჩნეულ იქნას ყოველგვარი ბოროტების სათავედ.

— პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხების გადაწყვეტისას პირველ პლანზე არ დგას საკუთარი ხალხის რეალური ინტერესები. აუცილებელია მწარმოებლისათვის ნორმალური წარმოებითი ურთიერთობების უზრუნველყოფა. ყოვლად გაუმართლებელია მოქმედი იურიდიული ნორმები და არბიტრირების სისტემა, რომელიც საფუძვლად უდევს მეურნეობრიობას. სახელმწიფო სარგებლობს რა განუსაზღვრელი უფლებებით, საკანონმდებლო აქტებით ყოველნაირად ზღუდავს წარმოების ეკონომიკურ სფეროს ბიუჯეტის სასარგებლოდ (დეფიციტის დასაფარავად). ამავე დროს არავითარ პასუხისმგებლობას არ იღებს თავის თავზე და არც არავითარ გარანტიებს უზრუნველყოფს. ასეთ პირობებში მართვის დეცენტრალიზაციის პოლიტიკა პასუხისმგებლობიდან წასვლის ტოლფასია.

დღევანდელი კაპიტალიზმი სოციალიზმის ელემენტების შეთვისებამ გააძლიერა. (მაგ. შვედური მოდელი). ბაზრის მარეგულირებელი ანარქიის კანონი მარკეტინგით შეიცვალა. ამან თითქმის მინიმუმამდე დაიყვანა პერიოდული ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისები. მართვის მეთოდების და პრინციპების ერთობლიობისადმი მეცნიერულად მიდგომამ (მენეჯმენტი), მწარმოებელთა მაღალმა გარანტიებმა მომქმედი დაზღვევის მრავალფეროვანი სისტემის სახით (მათ შორის სახელმწიფო დაზღვევისაც) იმ განუსაზღვრელ თავისუფლებასთან ერთად, რომელიც მათ მინიჭებული და დაცული აქვთ სათანადო კანონმდებლობით, შეუდარებლად მოქნილი გახადა პროდუქტწარმოების და სხვა სფეროებიც და უზრუნველყო მათი მაღალეფექტურობა. ჩვენ კი დავშალეთ ძველი მექანიზმი ისე, რომ არ შეგვიქმნია ახალი. დაუშვებელია დეფიციტის პირობებში რაიმე ნორმალურ საბაზრო ურთიერთობებზე საუბარიც კი, მით უმეტეს ანარქიის კანონზე დაყრდნობით (პირდაპირი კავშირები), რაც, ჯერ ერთი, ხელს ვერ შეუწყობს მთელი სახალხო მეურნეობის სწორად განვითარებას, და მეორეც ნამდვილად აღრმავებს ჩრდილოვან მხარეებს.

აქედან გამომდინარე, სწორი იქნება ძველი მექანიზმის საშუალებით ახალი ეკონომიკური მეთოდების და სათანადო სამართლებრივი საფუძვლის დანერგვა სეპარატიული გზით, და არა ლოდინი კანონების იმ პაკეტებისა, რომელთაც ამჟამად ამუშავებენ უმაღლესი კანონმდებელი ორგანოები საკუთრების ფორმების, მიწის, გადასახადების და სხვა მრავალთა, რომელთა დანიშნულება ძირითადად განისაზღვრება ბიუჯეტის დეფიციტის შევსებით და მათ მიღებას არავითარი ეფექტი არ ექნება, თუ მეურნეობრიობას საფუძვლად არ დაედო სწორი ეკონომიკური სტრუქტურა (მოდელი) განმტკიცებული სათანადო იურიდიული ნორმებით, სამართლებრივი აქტებით, მაღალი გარანტირებით და პასუხისმგებლობით როგორც შემსრულებლის, ისე სახელმწიფოს მხრივ.

— აბსოლუტურად მიუღებელია საერთო საკავშირო კანონმდებლობა ფედერაციისათვის, რომლის პოლიტიკურ საფუძველს შეადგენს ეროვნულ-ტერიტორიული ფორმაციები რესპუბლიკების და ავტონომიების სახით. აქ იჩაგრება მთელი კულტურები, ტრადიციები. ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც ფედერაციის საფუძველი ძირითადად ტერიტორიალური რეგიონებია, ყველა შტატს თავისი კანონები აქვს და საერთო სახელმწიფო კანონმდებლობა, გარდა ზოგიერთი გამონაკლისისა, არეგულირებს მხოლოდ მათ შორის ურთიერთობებს.

სწორედ ამ პრინციპებიდან გამომდინარე, მთლიანად სახალხო მეურნეობაში და სამშენებლო კომპლექსში შექმნილი მძიმე მდგომარეობის გათვალისწინებით, საქართველოს მშენებლები, მოვითხოვთ:

1. სრულ სუვერენულ უფლებებს ტექნიკური, ნორმატიული და ეკონომიკური საკითხების გადაწყვეტაში და საერთო საკავშირო საკანონმდებლო დოკუმენტების მთლიანად გაუქმებას. უარს ვამბობთ მომქმედ საკავშირო ნორმებზე, ნორმატივებზეც და ფასებზე როგორც ინკვიზიტორული პოლიტიკის წყაროზე.

— კატეგორიულად მოვითხოვთ დარგში მომქმედი ყველა საერთო საკავშირო საკანონმდებლო აქტის, დადგენილების, ინსტრუქციის გაუქმებას და ამ მიმართებით შიგა რესპუბლიკური კანონმდებლობის შექმნას. საკავშირო კანონები უნდა არეგულირებდეს მხოლოდ ცენტრთან და რესპუბლიკებს შორის ურთიერთობას, და ისინიც მიღებული უნდა იქნას მხოლოდ საერთო შეთანხმების შემდეგ, ანდა განისაზღვროს ხელშეკრულებით;

2. დაუყოვნებლივ გატარდეს ქმედითი ღონისძიებები და გაეცეს პასუხი საქართველოს მშენებელთა პროგრამით, დეკლარაციით და მოთხოვნით წამოყენებულ ყველა საკითხს, მიღებულ იქნას ამ მიმართებით საქართველოს უზენაესი საბჭოს და მთავრობის დადგენილებები, და გამოქვეყნდეს პრესაში, რადიოში და ტელევიზიაში.

3. წარედგინოს სათანადო საკავშირო ორგანოებს მოთხოვნა, დაუფარონ ზარალი სამშენებლო ორგანიზაციებს საბალანსო მაჩვენებლების მიხედვით, 1990 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით; მთლიანად ჩამოეწეროთ დღემდე მიღებული ბანკის სესხები და გასწორდეს მათი სასტარტო საფინანსო მდგომარეობა, თვითდაფინანსებაზე, სრულ სამეურნეო ანგარიშზე და საარენდო ურთიერთობაზე გადასვლასთან დაკავშირებით.

4. უზრუნველყონ წარმოების და პიროვნების სამართლებრივი უფლებები, დაწესდეს სახელმწიფოებრივი გარანტიები სათანადო სადაზღვევო სისტემების შემოღებით, გაიზარდოს სახელმწიფოს ყველა დონის ხელმძღვანელობის ეკონომიკური და იურიდიული პასუხისმგებლობა; შეიქმნას საკანონმდებლო აქტების პაკეტი ამ მიმართებით.

5. უარი ვთქვათ ყველა სახის კონტროლზე, როგორც მეურნეობრიობისათვის მიუღებელ გაუმართლებელ ფორმაზე, გარდა უშუალო კონტროლისა და მომწოდებელსა და მიმღებს შორის, მყიდველსა და გამყიდველს შორის, შემკვეთსა და შემსრულებელს შორის (გარდა ზოგიერთი გამონაკლისისა).

6. დავაკანონოთ პროდუქციის შემქმნელის და პირველ რიგში საბოლოო პროდუქტის შემქმნელის, პრიორიტეტი, შემოვიღოთ ტექნოლოგიური ჯარიმები, შევასწოროთ თანაფარდობა საბითუმო და საცალოო ფასებს შორის. სათანადოდ შეიცვალოს დაგეგმვის, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გამოყოფის და მართვის არსებული სტრუქტურები. დაკანონდეს მომხმარებლის (კლიენტის) პრიორიტეტი სათანადო ეკონომიკური პასუხისმგებლობის შემოღებით.

7. აღინიშნოს სახალხო მეურნეობის მოუმზადებლობა პირდაპირ კავშირებზე გადასვლისათვის, ჩაითვალოს ის კორუფციის და ჩრდილოვანი ეკონომიკის გაღრმავების წყაროდ. ამიტომ გარდამავალ ეტაპზე შენარჩუნებულ იქნას განაწილების პრინციპი, პერსპექტიული გეგმის მიხედვით რესპუბლიკებისათვის რესურსების წინასწარი გადაცემით, რაც შემდგომში საფუძვლად დაედება გეგმის ფორმირებას.

8. დაუყოვნებლივ იქნას შემოღებული თავისუფალი სახელშეკრულებო ფასები, სახელმწიფოს მხრივ გარდამავალ პერიოდში სათანადო გარანტიების უზრუნველყოფით. განთავისუფლდეს პროდუქტწარმოების სფერო (ის სფერო, სადაც იქმნება ეროვნული საზოგადოებრივი პროდუქტი) ყოველგვარი შეზღუდვებისაგან, აღიარებულ და დაკანონებული იქნას მისი პრიორიტეტული უფლებები მაკონტროლებლის, მომსახურების მოწოდების და სხვა არამწარმოებელი დარგების მიმართ.

9. დაუშვებელია მწარმოებლური ძალების განვითარების შეჩერება და მისი ანაზღაურების ზრდის ხელოვნურად შეზღუდვა.

10. აუცილებელია მომქმედი ეკონომიკური სტრუქტურების, საზოგადოების განვითარების და ეკონომიკის ძირითადი კანონებისადმი შესაბამისობაში მოყვანა;

11. გამოქვეყნდეს პრესაში საქართველოს მშენებელთა კავშირის წესდება და გადაწყდეს გაზეთის გამოცემის საკითხი,

12. კატეგორიულად დაისვას და ერთხელ და სამუდამოდ გადაწყდეს რესპუბლიკის ხე-ტყით უზრუნველყოფის საკითხი.

13. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ღირებულება იქმნებოდეს მხოლოდ ერთიანი, თავისუფალი სახელშეკრულებო შეთანხმებით გამოხატული ღირებულებით (ყოველგვარი კომპენსაციების მცნების გარეშე).

## პროექტი

14. ყველა კანონთა შორის პრიორიტეტულად სწრაფად დამუშავდეს საკანონმდებლო აქტების პაკეტები, მეურნეობრიობის და ეკონომიკის გაჯანსაღების მიმართებით, სეპარატიული გზით, საკუთრების არსებული ფორმების შეუცვლელად. (ყოვლად დაუშვებელია ეკონომიკაში ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადავარდნა).

15. პოლიტიკური სიტუაციის დესტაბილიზაციამ გააღრმავა ეკონომიკური კრიზისი, გამოიწვია შეფერხებები და მთლიანი გაჩერებები მთელი რიგი წარმოებებისა, ამასთან დაკავშირებით გამოიცეს დადგენილება, რათა განთავისუფლდეს სამშენებლო კომპლექსში მომავალი ორგანიზაციები ყველა სახის ჯარიმებიდან, საურავისაგან და გადასახადებიდან.

16. მოქმედი ნორმების ინფორმაციული და საკანონმდებლო აქტები გამორიცხავენ წარმოებას „გარდაუვალი დარღვევების“ გარეშე. რაც სამწუხაროდ ათწლეულების განმავლობაში წარმოადგენდა კორუფციის, ჩრდილოვანი ეკონომიკის და გამოძალვის წყაროს. აქედან გამომდინარე სამშენებლო ორგანიზაციებმა არ უნდა დაუშვას თავისი სისტემა არც ერთი სხვა უწყების შემოწმებელი, გარდა თავისი ზემდგომისა, სანამ არ გაჯანსაღდება ხელოვნურად თავსმოხვეული „დარღვევების“ გარეშე. მით უმეტეს, რომ აღნიშნული მტკიცდება „სახელმწიფო საწარმოს შესახებ კანონის სამოქმედოდ შემოღების წესის თაობაზე სსრ კავშირის 1987 წლის 30 ივნისის დადგენილებით.

17. თუ აპრილის თვის ბოლომდე არ გადაწყდება ჩვენს მიერ წამოყენებული პრობლემები, თუ აღნიშნულ ვადაში არ გატარდა ამ მიმართებით ოპერატიული ქმედითი ღონისძიებები, მოგიწოდებთ ყველას ბოიკოტი გამოუცხადოთ უზენაეს საბჭოს და მინისტრთა საბჭოს — არ მივიღოთ მონაწილეობა მათ მიერ გატარებულ ღონისძიებებში, ჩავშალოთ სტატანგარიშგება.

მშენებელი, რომელიც დაარღვევს ამ გადაწყვეტილებას, გამოცხადდეს შტრაიკბრეხერად. შემდგომი ეტაპისათვის მოვამზადოთ საყოველთაო გაფიცვა და უარი გამოვაცხადოთ სახელმწიფო გადასახადებზე!

18. ეთხოვოს საქართველოს სახალხო ფრონტს, რესპუბლიკის სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და პარტიებს გამოხატონ სოლიდარობა დარგის პრობლემების მიმართ, რამეთუ ჩვენი პრობლემები, ერის პრობლემებია.

19. მოვუწოდებთ ყველა მშენებელს გამოიჩინოს მაქსიმალური პატრიოტიზმი სამშობლოს და პროფესიის მიმართ, მოუხმოს მთელს შინაგან ძალებს და პირველი რიგის ამოცანად დავისახოთ მშენებარე ნაგებობათა მაღალი საიმედოობა, ისეთი რომ ისინი მრავალი საუკუნეების მანძილზე გასწვდეს ჩვენს მომავალ თაობებს.

20. დაევალოს საქართველოს მშენებელთა კავშირის საბჭოს და პრეზიდიუმის შემადგენლობას გაუწიოს კოორდინაცია საქართველოს სამშენებლო კომპლექსის მონაწილეთა ქმედებას, დასახული პროგრამის მიღწევისათვის ბრძოლაში.

**საქართველოს მშენებელთა კავშირი**

# სტუდენტები, პენსიონერები და არჩევნები

**ახლოვდება** საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების ოფიციალურად დაწესებული თარიღი.

არჩევნებთან დაკავშირებით, ისევე, როგორც საქართველოს მომავალი უზენაესი საბჭოს შესახებ, რადიო და ტელე გადაცემებში, ოფიციალურ თუ არაოფიციალურ პრესაში, ყოველდღიურ საუბარში, მრავალი საპირისპირო აზრია გამოთქმული.

ამ აზრთა სხვაობის დროს, რაც ჩვენი ფიქრით ნამდვილად დემოკრატიული პოლიტიკური ცხოვრების განუყოფელი ნაწილი უნდა იყოს, საინტერესოა საზოგადოებრიობის ამა თუ იმ ფენის დამოკიდებულება არჩევნების პროცესისა და მომავალი უზენაესი საბჭოს მიმართ.

სწორედ ამ მიზნით თბილისის უნივერსიტეტის სოციოლოგიურმა ლაბორატორიამ 1990 წლის 3 მარტს გამოკითხა თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელობისა და უნივერსიტეტისა და ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტები და პენსიონერთა მცირე ჯგუფი (კითხვარის მომზადებაში ჩატარებასა და გადამუშავებაში მონაწილეობდნენ სოციოლოგიური ლაბორატორიის წევრები: ხათუნა გოგნაძე, ზეინაბ ბერიაშვილი, ლია მეზვრიშვილი, ქეთინო მესხიძე, მამუკა ნადირაძე, მზია ნატროშვილი, დალი შუშტაკაშვილი და მაკა ხუციშვილი, მერაბ ფაჩულია).

გამოკითხულთა საერთო განწყობილება გამოიხატა ასე:

**მრავალპარტიულობის გარეშე ჭეშმარიტად |დემოკრატიული არჩევნები ვერ ჩატარდება 90,8 პროც.), დღევანდელი პოლიტიკური სისტემის პირობებში შეუძლებელია დემოკრატიული არჩევნების ჩატარება (88 პროც), თანამედროვე პირობებში საქართველოს ხელისუფლება არ გამოხატავს ხალხის ჭეშმარიტ ნებას (80,4 პროც).**

აქვე უნდა აღინიშნოს ის, რომ გამოკითხულთა. სამი ჯგუფიდან მხოლოდ ერთი — უნივერსიტეტის სტუდენტთა ჯგუფი — გამოხატავს მთლიანად უნივერსიტეტის სტუდენტების აზრს. ტექნიკური უნივერსიტეტიდან გამოკითხული გვყავს მაშინ გაფიცული სტუდენტები, რომლებიც უნივერსიტეტის სტუდენტებზე გაცილებით რადიკალურნი აღმოჩნდნენ.

თუ ტექნიკურ უნივერსიტეტში გაფიცულთა 73,3 პროც. ფიქრობს, რომ საქართველოს მომავალი უზენაესი საბჭო არ იქნება საქართველოს მოსახლეობის ნების ჭეშმარიტი განმახორციელებელი, იგივე აზრს იზიარებს უნივერსიტეტის სტუდენტთა 46,7 პროც. ამას ეთანხმება პენსიონერთა მხოლოდ 28 პროც.

იგივე კანონზომიერება შეინიშნება ყველა სხვა შეფასებაშიც: განსაკუთრებით რადიკალურნი არიან გაფიცულები ტექნიკურ უნივერსიტეტში და მინიმალურად რადიკალურნი — პენსიონერები.

ასეთია პასუხები, რომლებიც მივიღეთ კითხვაზე: „მიიღებთ თუ არა მონაწილეობას საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებში".

საერთო ჯამში გამოკითხულთა 47,2% ამბობს, რომ არავითარ შემთხვევაში არ მიიღებს მონაწილეობას არჩევნებში. კიდევ 33,6%-ს ჯერ არ მიუღია გადაწყვეტილება და მხოლოდ 14,8% ამბობს, რომ აუცილებლად მიიღებს მონაწილეობას არჩევნებში (დარჩენილი 4,4% არავითარ პასუხს არ იძლევა).

საინტერესოა განსხვავება, რომელიც შევნიშნეთ ქალებსა და მამაკაცებს შორის. გადაწყვეტილება არჩევნებისადმი დამოკიდებულების შესახებ უკვე მიღებული აქვთ მამაკაცების 67,5%-ს (მათგან 51,6% ამბობს, რომ არ მიიღებს მონაწილეობას არჩევნებში არავითარ შემთხვევაში), მაშინ, როცა ქალების 47,2-% ჯერ არ მიუღია არავითარი გადაწყვეტილება.

ჩვენი, თვალსაზრისით, კიდევ ერთი საყურადღებო შედეგია ის, რომ გამოკითხულთა 68,3% საკუთარ თავს არც ერთი პარტიის წევრად არ თვლის. ყველა გამოკითხული სტუდენტიდან კომკავშირელი უწოდა საკუთარ თავს მხოლოდ 24-მა ახალგაზრდამ, რაც 8,9%-ს შეადგენს.

იქნება თუ არა საქართველოს მომავალი უზენაესი საბჭო ხელისუფლების ის ღირსეული ორგანო, რომელიც ჭეშმარიტად დემოკრატიულ საქართველოს დაამშენებს? — ამას მხოლოდ მომავალი გვიჩვენებს; დღეს კი გამოკითხულთა 55,7% ფიქრობს, რომ საქართველოს მომავალი უზენაესი საბჭო არ იქნება საქართველოს მოსახლეობის ნების ჭეშმარიტი განმახორციელებელი, 26,9%-ს პასუხის გაცემა უჭირს.

გამართლდება თუ არა დარჩენილი მეექვსედის (17,3%) აზრი, რომელიც ამ მხრივ ოპტიმისტია?

**პუბლიკაცია მოამზადეს ლელა გეგეშიძემ, გურანდა სირბილაძემ, პაატა ამონაშვილმა.**

# შეკითხვა ორაზროვანი პასუხით თუ?..

დღეს მგონი სადაო აღარ არის, რომ ხალხის რჩეულმა პატიოსნად უნდა ზიდოს დეპუტატობის ის უზარმაზარი ტვირთი, ზოგიერთს ჯერ კიდევ საპატიო ჯილდოდ რომ მიაჩნია, პარლამენტის სხდომებზე პასიური დასწრება უმთავრესი მოვალეობა რომ ჰგონია, ან ჯერ კიდევ ბევრი „აგრესიულად მორჩილი უმეტესობის" რიგებში რომ დგას!

ოზურგეთში, ალბათ, როგორც მთელ საქართველოში, ავად თუ კარგად დიდი ბრძოლა მიდის საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების ჩასატარებლად. მიმდინარეობს წინასაარჩევნო შეხვედრები დეპუტატობის კანდიდატებთან. ერთი ასეთი შეხვედრა ჩატარდა ნასაკირალის № 217 საარჩევნო ოლქში წამოყენებულ კანდიდატთა ჯგუფთან. ფაქტობრივად ჩვენთან, ეს იყო პირველი ოფიციალური შეხვედრა 9 აპრილისა და სხვა მოვლენების შემდეგ რაიონის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს შორის. ამიტომ, საინტერესო იყო როგორი ურთიერთობა დამყარდებოდა დარბაზსა და მოწვეულ სტუმრებს შორის.

ბუნებრივია, საარჩევნო კანონის შესაბამისად, დეპუტატობის კანდიდატები ცდილობენ ამომრჩეველთა სიმპათია დაიმსახურონ, მაგრამ ყველა გზა საამისოდ გამართლებული როდია.

დეპუტატობის კანდიდატს ნოდარ ტაკიძეს, ნასაკირალის აგროკომბინატის დირექტორს, დარბაზიდან ერთ-ერთმა ამომრჩეველმა ასეთი შეკითხვა დაუსვა: საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ხშირად წერენ საბჭოთა არმიისათვის შეურაცხმყოფელ შეფასებას — ოკუპანტები. თვლით თუ არა, რომ საბჭოთა არმია ოკუპანტების არმიაა?

ნოდარ ტაკიძის პასუხი ასეთი იყო: ეს აღმაშფოთებელია. მე მიმსახურია საბჭოთა არმიაში, სადაც სუფევდა ინტერნაციონალიზმი, მეგობრობა და ურთიერთობა. არ ვიცი რა ვუწოდო იმ ხალხს, ვინც ჩვენს არმიას ოკუპანტურს დაუძახებს. ოკუპანტებია ისინი, ვინც ამ სახელს უწოდებს ჩვენს საბჭოთა არმიას, ერთი წუთითაც არ ვეთანხმები ამ გამონათქვამს.

მანამდე კი დეპუტატობის კანდიდატის ნდობით აღჭურვილმა პირმა თავისი გამოსვლა დაიწყო საბჭოთა არმიისადმი გულმხურვალე მისალმებითა და ხოტბის შესხმით.

არ ვიცით, ასე გულწრფელია საბჭოთა არმიის შეფასებაში ბატონი ნოდარ ტაკიძე თუ ეს ხმების დაგროვების ერთგვარი ფანდი იყო, მაგრამ ორივე შემთხვევაში გამართლება არ მოეძებნება საჯაროდ ასეთ განაცხადს.

ერთიც გვინდა დავძინოთ: როცა საქართველოს უზენაესმა საბჭომ აღიარა 1921 წლის ანექსია, როცა ქართველ ხალხს ჯერ კიდევ მოუშუშებელ ჭრილობად აქვს 1924 წელი, 1956 წლის 9 მარტი, 1989 წლის 9 აპრილი... როცა ქართველი ჭაბუკების მიმართ ჯერ კიდევ გრძელდება სადისტური მოქმედებები არმიაში, მრავალი მათგანის სიცოცხლე დამთავრდა კიდეც. სამშობლოსაგან შორს, ხალხის „რჩეულის" ასეთი განცხადებები ანტიქართულ ქმედებად გვესახება.

თუ 25 მარტს არჩევნები არ ჩაიშალა და პარლამენტში კვლავ აღმოჩნდნენ ისეთი დეპუტატები, რომლებიც ჯერ კიდევ ვერ ხვდებიან (ან არ ხვდებიან) ეროვნული საჯარისო ფორმირებების ჩამოყალიბებების აუცილებლობას, მაშინ ვაგლახ, ჩვენს საქმეს!

**ოზურგეთის ჟურნალისტთა პრესკლუბი.**

# ღია წერილი

## წალკის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს შოთა საბაძეს

პატივცემულო შოთა, იუსტიციის სამინისტრო გასული წლიდან ელოდება თქვენგან გადამწყვეტ პასუხს, ელოდება, მაგრამ ამაოდ.

შეგახსენებთ, რომ საქმე ეხება წალკის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის მმაჩის განყოფილების გამგის რ. ვ. კოკოზოვის თავნებობისა და უკანონო მოქმედებათა აღკვეთას.

რ. კოკოზოვი აღნიშნულ თანამდებობაზე აღმასკომის მიერ დაინიშნა 1985 წელს. მას თავიდანვე საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს მიერ ადგილზე ჩასვლით პრაქტიკული და მეთოდური დახმარება გაეწია, გადაეცა შესაბამისი იურიდიული ლიტერატურა, ჩაუტარდა სტაჟირება ქ. თბილისის მმაჩის განყოფილებაში. შემდგომში გამოვლინდა, რომ რ. კოკოზოვი თავნება და უდისციპლინოა, უხეშია მოქალაქეთა მიმართ, სისტემატურად აგვიანებს მოქალაქეთა განცხადებების გადაგზავნას მმაჩის რესპუბლიკურ არქივში, უყურადღებოდ სტოვებს რესპუბლიკის მმაჩის განყოფილებათა მოთხოვნებს, დროულად ან საერთოდ არ უგზავნის მათ სააქტო ჩანაწერების ასლებს, რითაც აფერხებს არა მარტო წალკის რაიონის მცხოვრებთა, არამედ სხვა განმცხადებელთა მოქალაქეობრივი აქტების რეგისტრაციას. ამასთან, იგი უტიფრად აცხადებს, რომ არ სცნობს საქართველოს სსრ კანონებს.

ჯერ კიდევ 1988 წლის ივნისში წალკის რაიონის მმაჩის განყოფილების ორგანიზაციული საქმიანობის შესწავლის მასალები განხილულ იქნა სამინისტროს კოლეგიის სხდომაზე, სადაც განყოფილების მუშაობა შეფასდა არადამაკმაყოფილებლად და რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის წინაშე დაისვა საკითხი რ. კოკოზოვის მმაჩის განყოფილების გამგის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ.

აღნიშნულ საკითხზე წალკის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომმა იმსჯელა მხოლოდ 1989 წლის 24 თებერვლის სხდომაზე და მმაჩის განყოფილების მუშაობა ჩათვალა არადამაკმაყოფილებლად, ხოლო რ. კოკოზოვის დაკავებულ თანამდებობაზე ყოფნა — მიზანშეუწონლად. გადაწყვეტილება კი სისრულეში დღესაც არ არის მოყვანილი.

თქვენ უგულვებელყავით აგრეთვე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის 1989 წლის 15 ივნისი დავალება აღგეკვეთათ რ. ვ. კოკოზოვის უკანონო მოქმედებანი. იგი კი კვლავ თვითნებობს.

წალკის ბერძნული წარმომავლობის მოსახლეობა ატარებს რუსულ, აზერბაიჯანულ და შერეულ გვარებს, რაც არ შეესატყვისება მათ ეროვნებას. მათ გარკვეულ ნაწილს სურს აღადგინოს ისტორიული ბედუკუღმართობით დაკარგული გვარი და ეროვნება. რ. კოკოზოვი კი აფერხებს ამ ღონისძიებათა გატარებას, ამის გამო წალკის ადგილობრივ მაცხოვრებელთა ცალკეული ჯგუფები იძულებულია დახმარებისათვის მიმართოს ზემდგომ ინსტანციებს. რაიონის მმაჩის განყოფილებისაგან მოსახლეობას არ შეუძლია მიიღოს ელემენტარული განმარტებებიც კი.

ამგვარად, რ. კოკოზოვი არ ემორჩილება საქართველოს სსრ კანონებს და უგულვებელყოფს ბერძნული მოსახლეობის (რომლის წარმომადგენელიც თვითონ არის) მოთხოვნებს.

გთხოვთ გვიპასუხოთ, ვის ან რას ემსახურება რ. კოკოზოვი? აგრეთვე შეიძლება იყოს იგი საქართველოს სსრ სამსახურში, ხელთ ეპყრას მისი ღერბიანი ბეჭედი და არ სცნობდეს მის კანონებს?

და ბოლოს — ვინ იცავს რ. კოკოზოვს?

**ა. ტალიაშვილი,**

**საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილე.**

# სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების მიმართვა

## საქართველოს სოფლის ყველა მშრომელს, რუსთაველის საზოგადოების რეგიონალურ და რაიონული პირველადი ორგანიზაციებისადმი

საქართველოს მთასა და ბარში დაიწყო მოძრაობა „გლეხთა კავშირების" შესაქმნელად. ამ დღეებში გაიმართა გორის რეგიონალური „გლეხთა კავშირის" დამფუძნებელი კონფერენცია, რომელმაც განიხილა კავშირის წესდებისა და პროგრამის პროექტები. შეიქმნა „კავშირის" რესპუბლიკური ყრილობის მოწვევის საინიციატივო ჯგუფი, რომელშიც ქართლის რეგიონიდან შედის ორი წარმომადგენელი. საინიციატივო ჯგუფი უნდა შეივსოს საქართველოს სხვა რეგიონების (კახეთი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი, მესხეთ-ჯავახეთი, იმერეთი, სამეგრელო, გურია, აჭარა, რაჭა-ლეჩხუმი, სვანეთი, აფხაზეთი, შიდა ქართლი, ქვემო ქართლი) ორ-ორი წარმომადგენლით.

ამა წლის 16 იანვარს გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში" გამოქვეყნდა რუსთაველის საზოგადოებასთან არსებული „საქართველოს გლეხთა ასოციაციის" წესდებისა და პროგრამის პროექტები. სასურველია, რუსთაველის საზოგადოების რეგიონალურმა და რაიონულმა პირველადმა ორგანიზაციებმა სოფლის მშრომელთა აქტიური მონაწილეობით უახლოეს დღეებში განიხილონ ეს პროექტები, ჩაატარონ „გლეხთა კავშირების" დამფუძნებელი კონფერენციები; აირჩიონ ორ-ორი წევრი რესპუბლიკური ყრილობის მომწვევი საინიციატივო ჯგუფისათვის, ამასთანავე, კონფერენციების ჩატარების თარიღები წინასწარ აცნობონ რუსთაველის საზოგადოების სოფლის მეურნეობის მუდმივ კომისიას (380008, თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 37).

სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებას მიაჩნია, რომ „გლეხთა კავშირები" უნდა იქცნენ არა მარტოოდენ დამოუკიდებელ და მოქნილ სამეურნეო მექანიზმად, არამედ საქართველოს გლეხობის ინტერესებისათვის, სოფლის აღორძინებისათვის ბრძოლის სრულყოფილ ორგანიზაციად. თუ ასე არ მოხდა, სოფლის მშრომლები ამ სასიკეთო მოძრაობას ვერ ირწმუნებენ და მას ზურგს შეაქცევენ.

რუსთაველის საზოგადოება იმედს გამოთქვამს, რომ საქართველოს სოფლის მშრომელი რუსთაველის საზოგადოების რეგიონალური და რაიონული ორგანიზაციების ხელმძღვანელები, მათი წევრები დიდის გულისყურით მოეკიდებიან ქართული სოფლისათვის ამ მეტად მნიშვნელოვან ეტაპს, ხელს შეუწყობენ „გლეხთა კავშირების" გამგეობებში სოფლის ჭეშმარიტი ბედით დაინტერესებული, ხალხის ნდობით აღჭურვილი პირების გაერთიანებას, რესპუბლიკური ყრილობისათვის მზადების კომპანიის მაღალ პოლიტიკურ და ეროვნულ დონეზე ჩატარებას.

**სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისია.**

# ძმაო, ამირან!!!

## (შორიდან მოხაზული ესკიზი)

ტალინი, 11 თებერვალი, კვირა.

**ერთადერთი**, რაზედაც გული მწყდება, ისაა, რომ ჩვენი „გაწითლების" დღეს, ეტყობა, აქ ვხვდები, შენს სამოყვროში. (ლამის ყოველი ჩვენგანისაც!). კიდევ კარგი, აქ ყველამ არ იცის, თორემ მომისამძიმრებდნენ, ალბათ.

კარგა ხანია, არ მინახავხარ, ხოლო შენგან რომ ბოლო წერილი მივიღე, (1973 წ. აპრილი), მას შემდეგ სამი გენერალური მდივანი გამოგვეცვალა ხელიდან და ორიც — პრემიერი.

მართლაც რა თვალისდახამხამებაში გაიშლიგინა ამ 17 წელიწადმა!.. ეტყობა, ნეტარი წლები მსწრაფლად გარბიან. რაო, უძრაობის ხანას ნეტარს როგორ ეძახიო?! ვისაც დენთის სუნად გაჟღენთილი ბავშვობა ახსოვს, მისთვის უძრაობის წლებიც ნეტარია და ვოლუნტარიზმისაც. ბავშვის ცრემლებში ნახარში ადამიანის გულ-გვამის სუნი ასდის დენთს და ამიტომ...

სადღეისოდ ორთავენი თბილისში ვცხოვრობთ და, ვინც ახლოს გვიცნობს, გაიოცებს — ერთ ქალაქში მაცხოვრებლებს რა წერილობანა ასტყდომიათო!.. ერთი მხრივ, სწორიც იქნება ის კაცი, მაგრამ მაშინ, ერთმანეთს რომ წერილებს ვწერდით, გვეგონა, სხვადასხვა ქვეყნებში ვცხოვრობდით. სინამდვილეში ახლა დგება ეს დრო!.. გვისმინოს გამჩენმა!..

შენთვის რომ წერილი მომეწერა, საგანგებოდ არ ჩამოვფრენილვარ შენს სამოყვრო საესტონლოში, მივლინებით ვარ აქ, მაგრამ შენი წიგნი გამომყოლია და იმას ვესაუბრები. (ამირან კალაძე — „ოქროს შუალედი", „მერანი", 1988).

„საესტონლო" ხომ არ ეხამუშა ყურს? რა ვქნა, ვერ ვიტან „ეთ"-ზე დასრულებულ სახელმწიფოებს! რასაკვირველია, კაპიტალისტურ მარწუხებში მყოფი საფრანგეთი, საუდის არაბეთი, ფინეთი და ესპანეთი მაქვს მხედველობაში, თორე უზბეკეთის, თურქმენეთისა და, მით უმეტეს, რუსეთისაგან ღმერთმა დაგვიფაროს!..

რაღაც ალთა-ბალთა ფრაზა გამომივიდა სინტაქსურად და ძაან ნუ ჩაუკვირდები.

●

დაბადებულხარ მეორე მსოფლიო ომის დამთავრებამდე ექვსი დღით ადრე და ამის გამო შენ და მშვიდობა ერთი ხნისა ხართ. (ჰგავხართ კიდევაც ერთმანეთს, ორთავენი სათუთი მოსავლელი!).

ასწლოვანი ცაცხვებით დაბურული სასაფლაოს გვერდით გქონიათ სოფლის შვიდწლედი. იქ ახლოს, თურმე, ოდესღაც თეთრი საყდარიც მდგარა და... მხოლოდღა ახლა მიმხვდარხარ, რამდენი სიბრძნით ყოფილა დამუხტული ჟივილ-ხივილით სავსე სკოლისა და „უზენაესი გარინდებით ობმოდებული სასაფლაოს გვერდიგვერდ არსებობა!"

გწამნი და გწამნი „ოქროს შუალედიდან" ნაზრევს:

2-ს პლუს 2 უდრის ოთხს.

სკოლას პლუს სასაფლაო უდრის აიწონა-დაიწონას.

ამირანს პლუს ნუნუკა ტოლია სიყვარულის!

(ეს ბოლო ფორმულა არ წააკითხო ჩემს ესტონელ დაიკოს, შენს მეუღლეს, რომელიც იმდენად გაგიქართველებია, რომ იმერულადაც კი უქცევს). ხოლო ბავშვის ვითომცდა ინდიფერენტული მზერა სამიდღემჩიოდ აფიქსირებს უამურ სურათს: ფითრი პარაზიტობს მსხლისა და ტყემლის ტოტებზე!..

ამასობაში ქართულის მასწავლებელი მოულოდნელად გვეშავლ ყმაწვილებს: „მიგიხვდი, ჩემო მოხევევ, რა ნესტარით ხარ ნაჩხვლეტი. ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო, სთქვი შენ და მე გავიგონე". რთული თანწყობილი წინადადებააო, აგიხსნათ მერე. სულის აცრა იყო იგი, ჩემო ამირან, რისი თანწყობილიო! თუ მაინცდამაინც, ღვთისმიერი თანწყობაა, სულისშემძვრელი და ფაფარამშლელი...

მას მერე ქარიც ბევრი იყო და ქარაშოტიც, სისხლის ღელმაც და ცეცხლის თქეშიც, მაგრამ ლელთ ღუნია აღარას ამბობს. მან ერთხელ თქვა და გაათავა! საუკუნეა, სასოებით გულში ვიმეორებთ მაგიერ სიტყვებს. დრო არის უკვე! თქვენი ჯერია! კი არ გამიამპარტავანდე და „თქვენ"-ში მარტო შენი თავი არ იგულისხმო. მრავლადა ხართ ამ გულისძახილს მიყურადებულნი და კვლავაც გემრავლოთ ღვთის შეწევნით!..

●

ნეტარხსენებული მერაბ კოსტავას მიერ კვლავ გაღვივებულმა ხანძარმა, რომელსაც იმთავითვე თავს დასტრიალებდა ზვიად გამსახურდია, ის ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ბრძოლა განაახლა, რომელსაც მე-19 საუკუნეში ერის დიდი მამები, ილია და აკაკი, წარმართავდნენ.

დღევანდელ საქართველოში იშვიათად იქმნება ლექსი და პოემა, მელოდია და სიმფონია (თუ იქმნება, „ვაჩუქოთ ერთმანეთს" გეშისა იქმნება!), გინდაც ნოველა და რომანი. დღეს პუბლიცისტიკის ნამდვილი ბუმია ჩვენში. თანაც, არა მაინცდამაინც მწერლები იჩენენ თავს; ძნელად თუ დაასახელებ ხელოვნებისა თუ მეცნიერების ისეთ დარგს, რომლის წარმომადგენელსაც კალამი არ მოესინჯოს პუბლიცისტიკაშიც. შესანიშნავი წერილებით (ინტერვიუ, ნარკვევი) გაგვახარეს, ვთქვათ, მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელმა თუ კინორეჟისორმა ლანა ღოღობერიძემ, ეკონომისტმა ვალერიან ადვაძემ თუ ისტორიკოსმა გურამ ყორანაშვილმა და სხვათა და სხვათა.

დღევანდელი მკითხველი ხომ ნანატრი ხილვით ელოდება ყოველ ცისმარე ჟურნალ-გაზეთებს. თუ გაუმართლა და რევაზ ჯაფარიძის, აკაკი ბაქრაძის, რეზო თაბუკაშვილის, ნოდარ წულეისკირის, ნოდარ ნათაძის, გიორგი გაჩეჩილაძის, კობა იმედაშვილის, ნოდარ გრიგალაშვილის, გურამ გეგეშიძის, გურამ გვერდწითელის (რა ულვთოდ გვაკლია გურამ ასათიანი!) წერილებს წააწყდა და სხვათა და სხვათა, გულისყურით ჩაუჯდება, სერიოზული ბჭობა იქნებაო! თუ გურამ ფანჯიკიძე აწერს ხელს, ან ჯანსუღ ჩარკვიანი, ან სულაც რეზო ჭეიშვილი, ბრჭყალებსაც გამოაჩენსო!.. თუ ვახტანგ ხარჩილავა, მწარე სიმართლეს იტყვისო!.. თუ რევაზ მიშველაძე, ქვას ქვაზე აღარ დატოვებსო!.. თუ გურამ პეტრიაშვილი, რევერანსებს არაფრად დაგიდევთ და ვიღაცას ელეთ-მელეთს დამართებსო! თუ ტარიელ კვანჭილაშვილი, უპასუხოდ არავის დააგდებსო! თუ თამაზ წივწივაძე — სიცილ-ხარხარში ამოხდის ოპონენტს სულსო!..

ეს ერთი ხანია, ამ „ავანგარდისტებს" რამდენიმე ისეთი სახელიც შეემატა, რომელთაც „სენსაციისტებს" თუ შეარქმევს კაცი და, თანაც, საუკეთესო გაგებით. მათ შორის ერთ-ერთი შენა ხარ, ამირან კალაძე. დიდებული იყო შენი პოპულარული „ღია წერილები" კ. კიკნაძეს, გ. ლებანიძეს და სხვ. აგრეთვე დეპეშები „სახალხოში"! და „საქართველოში"! — ქვეყანამ გაიგო, სინამდვილეში ვინც ამღვრევს წყალს სამაჩაბლოში, „სამხრეთ ოსეთად" რომ მონათლეს ორჯონიკიძემ და К-ОМ. (კომპანიამ!).

●

„პირველ რიგში, ჩემო ძმაო, ვიცი, გაგეხარდება და მინდა ჩემი სიხარული გაგიზიარო. მე უკვე პატარა ბიჭის მამა ვარ. ბავშვი 26 იანვარს დაიბადა. მამაჩემის სახელი დავარქვით, სერგო, შენ, ალბათ, წარმოიდგენ რა ბედნიერები ვართ. მით უმეტეს, ჩვენი ოჯახის ამბავი შენთვის მოყოლილი მაქვს.

რა ვქნა, ძმაო, ვერ იქნა და ვერ გიშოვე, შენ რომ ბრიტვა მომწერე, ისეთი. სამაგიეროდ, თუთუნს გიგზავნი „კაპიტანსკის". რაც შენ წახვედი, მეც თუთუნს ვეწევი და აგაშენოს ღმერთმა, კარგია, რომ მიმაჩვიე. უკეთესიც ყოფილა და, რაც მთავარია, ახლა ორჯერ ნაკლებს ვეწევი.

ახალი რა არის ლიტერატურაში? ი კაცის კარგად დაწყებულ საქმეს რა პირი უჩანს?.. ჩემზე რა მოგწერო, ბინის მიღებას ჯერ კიდევ არ დაადგა საშველი!.."

ხომ გეცნობა, ამირან, ეს წერილი? ათას ცხრას სამოცდაცამეტი წლის რვა თებერვალს გამომიგზავნე შენ იგი ტალინიდან, მთელი ჩვიდმეტი წლის უკან, გახსოვს?

ახლა მე ვარ ტალინში. თანაც ისევ იმ სასტუმრო „ვირუ"-ში გამიხაზირეს ნომერი ჩვენმა საერთო მეგობრებმა: მშვენიერმა მოქართულემ ქ-ნმა **მერიკე პაუმ** და **უნო უსისომ**.

რაღა ტალინიდან გწერ წერილს?! ამას შენ იოცებ თუ მკითხველი?! შენგან არ მიკვირს? რაჟა, რაც მივლინების გროშები მაქვს, რა, ტელეფონში მიმეფშვნა? თანაც, როგორც იქნა, შორს დაგიგულე და მოგწერდი, აბა რას ვიზამდი! შენ კი არა, ლამის ცოლშვილსაც მოვწერო ბარათი!..

ისე, მშვენიერი წერილი გამოაქვეყნა ამ ათიოდე წლის წინათ კარლო კობერიძემ: ეპისტოლარულმა მემკვიდრეობამ ჭირი მოგჭამათო, ყველანი ერთ ქალაქში შევჭუჩდით, ყოველდღე ერთმანეთს ვეჩეხებით ქუჩაში და რაღა გვეწერილებაო!.. ახლა ვხვდები, სწორი ყოფილა ის კაცი!..

წარმოიდგინე, ისევ მესამე სართულზე მერგო ნომერი და ყოველ საღამოს, კარს როცა ვაღებ, ვარიეტედან თავბრუდამხვევი მუსიკის რიტმები აღწევს ჩემს ოთახში და მეჩვენება, რომ შენ დაგეძებს რათა სული აგიწრიალოს და სქელი „ტიბაანით" შუბლგახურებულმა, თბილისელი ტურისტების ჯგუფორგი ტანია გაიცნო ტელეფონით, ნახევარი საესტონლო უფეშქაშო ნისიად და, ბოლოს და ბოლოს, საცეკვაოდ შეიყოლიო ატორტმანებულ ვარიეტეში...

ვეძიე, მაგრამ აღარ შემომრჩენია მალეს ტელეფონის ნომერი. თუმცა, რაღა დროს მალეა, მაშინაც ემჩნეოდა კოლესტონის ფერი!.. არადა, რა სიმბოლური სახელი ერქვა — **მალე!..** კმარა, თორე გაგვჭორავენ შინაც და გარეთაც!..

ჰოდა, ვზივარ ახლა ნახევრად ჩაბნელებულ ჰოლში, ცალი თვალით ფინურ შოუს ვუცქერი ტელევიზორში და, შენს მაგიერ, შენი წიგნი მესაუბრება: „ორმოცი წლის ვარ. ეტყობა, დროა ცასა და მიწას ვუთხრა მადლობა... უკვე საბუხრედ ჭრიან იმ ხეებს, ახსოვთ რომელთაც ჩემი ბალღობა". არა, ამირან, საბუხრედ ასწლიანი რცხილები ურჩევნიათ იმერეთში, გინაც — წიფლები. ორმოცისანი ჟვაპია ჯერ, ნედლი, და იმდენი სულის ბერვა დასჭირდება, თოვლის ბაბუასავით ამოიგანგლები ნაცარში!.. შეიბრალე ნაინფარქტალი გული!..

სარისკო კილოზე გესაუბრები, ვატყობ. მკითხველი ნაკლებადაა მიჩვეული ასეთ ინტიმურ პასაჟებს. მართლაცდა, ვის რაში აინტერესებს, პოეტს ნაინფრაქტალი გული აქვს თუ ნაოპერაციევი თირკმელი!.. თუ ლექსის იმტაზე ხარ, მიდი, დაბეჭდე და წავიკითხავ, ავადმყოფობის ისტორია კი რაში მჭირიაო! რას ერჩი, სწორია ის კაცი. ხომ გადაიშვლიპა შენს ლექსებში 35 კაპიკი! მორჩა და გათავდა!.. „წიგნი შრომის დროს აგურია და ომის დროს — ტყვიით სავსე ყუმბარა!" შემთხვევით, მართლა ხომ არ იცი, რა ღირს ცალი აგური?

ჩვენ რომ ჩვიდმეტი წლის წინათ მიწერ-მოწერაში ვიყავით, სწორედ იმხანად ტელერადიოკომიტეტის ერთ-ერთმა ბოსმა სარედაქტორო ტექსტიდან ამომიღო სიტყვა **„მამული"** და მის ნაცვლად **„სამშობლო"** ჩაწერა. რაც მთავარია, ის ტექსტი ცნობილ მწერალს ნოდარ დუმბაძეს ეკუთვნოდა. როდესაც, ბოლოს და ბოლოს, დაადგინა, ნოდარმა, ვინც ეს მოიმოქმედა, ღიმილით მითხრა: რამდენადაც ვიცი, ნაომარი უნდა იყოს ეგ ტიპი და ჰკითხე ერთი, ძამა, რომელ ომში მონაწილეობდი, სამამულო თუ სასამშობლოშითქო!...

●

„საკმარისია, წამით შედგე, დაჰხედო მიწას და მოუხადო მიწას ქუდი გაჩენისათვის... გამვლელ-გამომვლელთ ისე ძლიერ შეეცოდები, მოიძებნიან ბრინჯაოსფერ შაურიანებს". ლექსი მცირეა, სევდა დიდი და ადამიანური. ასეთი ჟესტი დიდებულ ესპანელ იდალგოსაც დაამშვენებდა. ამირან, ამიტომაც მომხიბლა, მაგრამ სევდაც მომგვარა, მისი ალმატებულება ანდა კეთილშობილება — **სევდა!..** ვერ გაგიგებენ!

თუ გიფიქრია ამ ზმნაზე — **მომგვარა?** (მიჰგვარა, წაჰგვარა). იგი ყოველთვის მაღალ რეგისტრს მოითხოვს, მოქმედებისას, სუბიექტის წარჩინებულებას, აღმატებულებას: „დედოფალს შეკაზმული ცხენი მიჰგვარეს"... „პატარა უფლისწული წითელა ბატონებმა წაჰგვარეს, დაილოცა მათი სახელი!"...

ასეა, სევდაც და დარდიც მაღალადამიანურ გრძნობათა მცირე რიცხვს განეკუთვნება და ამიტომაც ყველას ერთნაირად როდი ახასიათებს!..

ეს ისე, სხვათა შორის წავიფილოსოფოსე და, ალბათ, ღიმილიც მოგგვარე. აუჰ, ისევ არ წამომცდა!..

უქმე დღეა, სალამოსპირი. ჩრდილოეთის მზეს მცხუნვარება ისევე აკლია, როგორც სანთლის მიხაკებს — სურნელი. ქუჩებში ხალხი გამოფენილა. ქართველ ჭაბუკს პირთეთრი და შავთვალა ლამაზმანი ახლავს და მოხდენილად კავალრობს, დარდიმანდულად... კარგა ხნის მერე, უკვე დაოჯახებული და ჭაღარამორეული იგონებდეს თითქოს, ისე აღიქვამს ჭაბუკი ქალიშვილს: „თეთრი ოვალი, შავი თვალები... შურით მზირალი ქერა ქალები... თეთრი ოვალი სავსეა შენი სევდანარევი იდუმალებით. მიქრიან წლები, გულზე გვემსხვრევა ჩვენი ოცნების იაგუნდები... ნეტავ სიზმარში თუ შემომყვები, როცა მარტოსულს მომაგონდები... თეთრი ოვალი, სათნო ღიმილი, ფიქრის მორევი — შავი თვალები... თეთრი ოვალი ანათებს შენი სევდანარევი იდუმალებით"... არ შემაცბუნო და სიტყვა არ შემატეხო — ეგ ლექსი ქართველ ქალიშვილზე სულაც არაა!.. იცი შენ, ამას რომ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. მე ასე ვხედავ! — ესაა მთავარი.

ბავშვობაში ხატავდი ალბათ. ყოველ შემთხვევაში, ფერების ჩინებული ხედვა გაქვს. ასე მაგალითად, ფერწერული ხატვის საუცხოო ნიმუშია შენი „ორი განწყობილება ფლეიტისათვის: „გაზაფხულია. უნაზესი თეთრიან იები, კვირტი ასკდება ალუჩებს და ატმებს მალიმალ... იზმორებიან გოლიათი აკაციები, მზე იჭყიტება ნისლის თხელი მოსასხამიდან. შრიალა სიო ჩურჩულია შეყვარებულთა, კვირტების სკდომა კისკისია გაზაფხულისა.

„შემოდგომაა. უკაცრიელ ბაღში ღლურტულებს ორი ბელურა, განუყრელი ორი დობილი... ფოთოლცვენაში მესმის შენი მწველი ჩურჩული, ნარინჯისფერი მოგონებით გამოხმობილი. ქარის ზუზუნი არის სევდა გაზაფხულისა, ფოთლების ცვენა ცრემლებია შემოდგომისა".

მერე და მერე კიდევ უფრო ამძაფრებ ამ სევდანარევ, მელანქოლიურ განწყობილებას ერთსტროფიან ლექსში, რომელსაც, ერთი შეხედვით, უზუსტო სათაური აქვს — „სიმღერა", მაგრამ ეს სწორედაც რომ ერთი შეხედვით: „გაილია სიცოცხლე უსასრულო ლოდინში, მოძერია ჭაღარა, დარდიანი ფიქრები... აწი ველარ აიხდენ სიჭაბუკის ოცნებებს, გულსაკლავი იქნება, აწი რასაც მიხვდები". რატომ შეიძლება მოეჩვენოს მავანს, რომ ლექსის შინაარსის პირდაპირ საწინააღმდეგოა სათაური? იმიტომ, რომ ლექსში წუხილია ცხოვრების არარაობაზე და სიმღერა რა შუაშიაო!..

მაგონდება ბავშვობის წლები. კი არ მაგონდება, ხშირად მეჩვენება, რომ ისევ ბავშვობაში ვარ. და აი ვხედავ დიდედაჩემის უსაშველოდ გატანჯულ, ნაჯაფარ და შიმშილით ერთთავად გასავათებულ სახეს; იმასაც დარდობს, რომ ვაჟი (მამაჩემი) დიდხანს შერჩა ქალაქს და კოდში თაგვები ხრიგინებენ, მეც ვედარდები, რომ ძვალი და ტყავი დავრჩენილვარ და მჭადი მაბოდებს. სწორედ მაშინ გამოიტანა ბეღლიდან ადამისდროინდელი ჩონგური და დაამღერა: წუთი-სოფლის სტუმრები ვართ... მაშვრალი ადამიანი გაჭირვების ჟამს სიმღერით იმაგრებს გულს!.. ასე რომ, როგორც სასიმღერო ტექსტი, საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ როგორც შთაგონების წყარო, დღევანდელობას ვერ უზამს მხარს. ერთი სული მაქვს შევძახო: ტფუი ეშმაკს და ჯვარი აქაურობას!!!

„გულსაკლავი იქნება, აწი რასაც მიხვდები!" პირიქით, ჩემო ძმაო და მეგობარო, სანთლითვით რომ უნთიხარ ჩვენს სამწყსოს, სწორედ აწი უნდა აგიხდინოთ სიჭაბუკის ოცნებები, სწორედ აწი უნდა დავსცეთ ყიჟინაც გამარჯვებისა!.. ნეტავი იმ დღეს!.. ნეტავ და თუ დაგვიძინებს რომელიმეს იმ ღამით? ან დაღამდება კია?

შენ ახლა დეპუტატობის კანდიდატადაც დაუსახელებიხართ და აქაც გემარჯვოს!..

ასე რომ, ნუ გეწყინება და, სადღეისოდ შენი „ნატვრა" ყველა სხვას (შენსას, რასაკვირველია!) მირჩევნია: „მშობელო მიწავ, ვით ოდითგანვე გყავს მტერ-მოყვარე შინ და გარეთა... ლხინში კვლავ ვიმღერთ მრავალჟამიერს, ჭირში ვახსენებთ მესაფლავეთა. კვლავაც მოვუვლით ზვრებსა და ყანებს, მეხს ავარიდებთ შენს წილ ვადაქმნილს და საკადრისად ჩამოვარიგებთ შენს მზეს და ღრუბელს აწ და მარადის! ტანს ვით აიყრის პურის თავთავი და იზაბელა გადახლართულად. შენ გაიზრდები, ჩემო სამშობლოვ, და ღმერთმა ნუ ქნას არაქართულად! შენ დაგელოცოს ბალჩა-ბაღები, გლეხკაცის სუფრა მუხის ჩეროში. მუხლჩაუხრელი მენახოს მუდამ აკვნის გამთლელი საქართველოში". ამინ!

**შენი ბიზო ზარნაძე**

**P. S. აქეთ მშვენიერი პირი უჩანს ამინდს. ჩვენთან?**

# წერილი რედაქციას

დასახელებული ვართ საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად. ჩვენი კანდიდატურები რეგისტრირებულია შესაბამისად საბურთალოს № 65 და ვაჟა-ფშაველას № 28 საარჩევნო ოლქებში.

გულმოდგინე ფიქრისა და განსჯის შემდეგ მივედით ურყევ დასკვნამდე, რომ რესპუბლიკაში შექმნილ უაღრესად რთულ ვითარებაში, როცა არჩევნებში არ მონაწილეობენ ოპოზიციური პარტიები და მათთან ერთად ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, გადავწყვიტეთ მონაწილეობა არ მივიღოთ კენჭისყრასა და არჩევნებში.

დიდი და გულწრფელი მადლობა გვსურს გადავუხადოთ იმ შრომით კოლექტივებს, რომლებმაც დაგვასახელეს დეპუტატობის კანდიდატებად.

**აკაკი ბათიაშვილი; მიხეილ ტიგანელი**

---

### თელავის სამშენებლო ტექნიკუმის კოლექტივს, № 158 თელავის საარჩევნო ოლქს

ულრმეს მადლობას მოგახსენებთ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ჩემი დასახელებისათვის, მაგრამ ვინაიდან არჩევნები პრაქტიკულად ერთპარტიული მმართველობის პირობებში მიმდინარეობს, ცხადია, არ შეიძლება ის დემოკრატიული და სამართლებრივი იყოს, აგრეთვე მაქვს სხვა პოლიტიკური მოსაზრებებიც, ამის გამო ვხსნი ჩემს კანდიდატურას და უარს ვაცხადებ არჩევნებში მონაწილეობაზე.

პატივისცემით
**მერაბ ბალარჯიშვილი**

---

# გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" რედაქციას

ვინაიდან ერთპარტიული სისტემა და ამ სისტემის მიერ დასახელებული დეპუტატები ვერ შეძლებენ გამოხატონ მთელი ქართველი ერის ჭკუსისკვეთება, დაიცვან მათი ინტერესები (რაც არაერთხელ. ვიხილეთ), თანაც ამდენი კორუმპირებული და მორალურად არასუფთა ელემენტის თავმოყრა კანდიდატთა სიაში უფლებას მაძლევს მოვხსნა ჩემი კანდიდატურა საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატობიდან.

**მაია ჩიბურდანიძე,**
**საქართველოს სახალხო არტისტი, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი.**

---

### სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებასთან არსებული ინვალიდთა ასოციაციის მიერ დასახელებული საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა

#### განცხადება

ჩვენ, ინვალიდთა ასოციაციის მიერ დასახელებული საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საგანგებო კონფერენციის გადაწყვეტილების თანახმად, ბოიკოტს ვუცხადებთ ე. წ. საბჭოურ არჩევნებს და ვხსნით ჩვენს კანდიდატურებს:

**ზაზა სიხარულიძე, თინათინ ჭედია, მარინე სვანიძე, ლევან ვაშაყმაძე, ნათელა ელოშვილი.**

---



# მხოლოდ სინამდვილის მართალი წარმოსახვა

ქართველი მხატვრის ვლადიმერ კანდელაკის გამოფენები არაერთგზის გაიმართა ფინეთში, იტალიაში, კანადაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, პოლონეთში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, კუბაში, იაპონიაში, ბელგიისა და თურქეთში, მოსკოვსა და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებში.

და აი, კვლავ მშობლიური თბილისი.

მხატვრის სახლში წარმოდგენილი ნამუშევრები გამოირჩევა რბილი, ნაწარმოების შინაარსის კვალობაზე ხან სევდიანი და ხანაც ნათელი, მზიანი ფერებით, ლაკონური კომპოზიციით.

მხატვარი ყოველ დეტალს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, მაგრამ ყოველი ფერწერული ტილოსთვის ძირითადი, თუ შეიძლება ითქვას, გამაერთიანებელი ნიშანი სწორედ კომპოზიციური მთლიანობაა, აზრის, იდეის, ფიქრის არა დანაწევრებული, არამედ ერთი ამოსუნთქვით, თითქოს ფუნჯის ერთი მოსმით გადმოცემა.

ვლადიმერ კანდელაკის მიერ შექმნილ პორტრეტებში ერთმანეთს ენაცვლება სევდა და სიხარული, ფიქრიანი მზერა და წელთა სიმრავლით გამოწვეული დაღლილობა, გოგონას ანთებული თვალები და ბებიას მშვიდი, სათნო, მიმტევებელი გამომეტყველება. სურათებს თითქოს უხილავი ძაფებით აერთიანებს სიყვარული ამ ადამიანთა მიმართ; ყოველ პორტრეტზე, უწინარესად, სწორედ ეს გრძნობა იკითხება.





და მაინც, გამოფენის მნახველთა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს სურათები, რომელთა მძაფრი პუბლიცისტურობა წარმოაჩენს ავტორის, როგორც შემოქმედისა და მოქალაქის, ცხოვრებისეულ პოზიციას: „ილიჩის ნათურა", „მიღწევების გეგმა", „კუ ქალაქში"... ამ ნაწარმოებებში იკითხება ირონიაც, სატირაც, სიძულვილიც უაზროდ დაკარგული ათწლეულების გამო.

ვლადიმერ კანდელაკის ნამუშევრები მოძრაობისა და ხალისის, სიცოცხლის აპოლოგიაა. მოვლენებისადმი მხატვრის დამოკიდებულების საფუძველი სინამდვილის წარმოსახვაა, შელამაზებული და მართალი წარმოსახვა.

სწორედ ეს თვისება გამოარჩევს ხელოვანს და წარმოგვიდგენს მას, როგორც მკვეთრად ინდივიდუალური, განსხვავებული ხელოვნების მქონე შემოქმედს.

**თამარ ჩხატარაშვილი**

**სურათზე: „სოციალიზმის მსვლელობა", „ბებია", „ილიჩის ნათურა".**
**ა. მაჭავარიანის ფოტო.**
**(საქინფორმის ფოტოქრონიკა)**

---

# თეთრები იწყებენ და...

### საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ირჩევს ღია დებიუტს

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაცია თვეზე მეტია „თავის თავს ეყუდნის".

დამოუკიდებლობისთვის ემზადებიან ჩვენი რესპუბლიკის მორაგბეებიც!

შემდეგი?

ვინ იქნება შემდეგი?...

ეს კითხვა დაისვა კიდეც საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის 1990 წლის საგანგებო კონფერენციაზე.

შემდეგი, სასურველია (შეიძლება ითქვას, აუცილებელიც) თუ მოჭადრაკეები იქნებიან.

რატომ მაინცდამაინც მოჭადრაკეები?

მრავალი მიზეზის გამო, მაგრამ დავიწყოთ ცოტა შორიდან:

დარწმუნებული ვარ, ზედმეტი იქნება იმის დეტალური გახსენება, თუ რა ადგილი უკავიათ ქართველ მოჭადრაკეებსა და საჭადრაკო კომპოზიტორებს საკავშირო თუ საერთაშორისო სარბიელზე.

საკმარისია, ვთქვათ თუნდაც ის, —

რომ 1962 წლიდან თითქმის მთელი სამი ათეული წლის მანძილზე მსოფლიოს ჩემპიონის გვირგვინი სწორედ ჩვენთან, საქართველოში ინახება და მის მომავალ მსურველთა შორის მეწინავენი კვლავაც ქართველი მანდილოსნები არიან;

რომ ქართველი მოჭადრაკე ვაჟები ბოლო ხანებში შთამბეჭდავ წარმატებებს აღწევენ საკმაოდ მაღალი კატეგორიის საერთაშორისო შეჯიბრებებში.

რომ მსოფლიოში თავისი განუმეორებელი ხელწერით გამოირჩევა ქართული საეტიუდო ხელოვნება...

გავიხსენოთ ისიც, თუ როგორი მძაფრი, უსაფუძვლო წინააღმდეგობების გადალახვა უწევდათ და უწევთ ზოგჯერ ქართველ მოჭადრაკეებს საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის მისაღებად, მეტიც, ხანდახან ისეც ხდებოდა, რომ სრულებით დამსახურებული უფლების რეალიზება საკმაოდ რთულდებოდა. ყველაფერ ამას თავი რომც დავანებოთ, ბოლოს და ბოლოს, რატომ უნდა სჭირდებოდეთ ქართველ მოჭადრაკეებს ყველაფრის შეთანხმება საკავშირო ფედერაციასთან...

ობიექტურობა მოითხოვს ითქვას, რომ ის სიძნელეები, რაც ფეხბურთელებს და მორაგბეებს შეიძლება შეექმნათ საერთაშორისო სარბიელზე დამოუკიდებელი დამკვიდრებისათვის, მოჭადრაკეებს, წესით არ უნდა ჰქონდეთ. და ეს, პირველ რიგში, იმიტომ, რომ ფიდემ — საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციამ თავისი დედოფალი „ცუგცვანგში" არ უნდა დატოვოს.

დავუშვათ და ასე რომც მოხდეს, იმედია დიდოსტატთა საერთაშორისო ასოციაცია, რომელსაც მსოფლიოს ჩემპიონი გარი კასპაროვი ხელმძღვანელობს, დადებითი რეაგირების გარეშე არ დატოვებს საქართველოს საჭადრაკო ფედერაციისა და ჩვენს მოჭადრაკეთა გადაწყვეტილებას.

და ბევრი რომ არ გავაგრძელო, ვიტყვი — საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ ღია დებიუტი (მოჭადრაკეებმა კარგად უწყიან, რასაც ნიშნავს ეს) აირ...ა...

მაშ ასე, თეთრებმა საჭაროდ დაიწყეს —

1. e2 — e4!!.

ჯერი თქვენზეა, საქართველოს მოჭადრაკეებო!...

**გიგლა გოგეჩია**

**მინაწერი:** ჩვენ დავუკავშირდით საქართველოს სპორტსახკომის ჭადრაკის განყოფილების გამგეს, ჭადრაკის რესპუბლიკური სასახლის დირექტორს, საქართველოს საჭადრაკო ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილეს, საერთაშორისო დიდოსტატ **ბუხუტი გურგენიძეს** და კომენტარი ვთხოვეთ:

— საქართველოს საჭადრაკო ფედერაციამ ეს საკითხი — საკავშირო საჭადრაკო ფედერაციიდან გამოყოფის შესახებ, ჯერ კიდევ ამა წლის 5 მარტს განიხილა ფედერაციის პრეზიდიუმის საგანგებო სხდომაზე, რომლის მონაწილეებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი საქართველოს დამოუკიდებელი საჭადრაკო ფედერაციის შექმნის იდეას. იმავე სხდომაზე შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა დამოუკიდებელი ეროვნული ფედერაციის წესდების პროექტის შემუშავება. ამჟამად პროექტი დამუშავების სტადიაშია და ეს საკითხი აპრილის პირველსავე დეკადაში გადაწყდება. ფაქტია, რომ მოგვიწევს დიდი ორგანიზაციული სირთულეების დაძლევა.

გარდა ამისა, უნდა ითქვას ისიც, რომ ჩვენი ფედერაცია აქტიურად მონაწილეობს საბჭოთა კავშირის ყველა სპორტული ფედერაციებისადმი საქართველოს სპორტულ ფედერაციათა ერთობლივი მიმართვის შემუშავებაში. აქ რადიკალურადაა გამოკვეთილი უმთავრესი მოთხოვნა — ყველა რესპუბლიკას სრული სპორტული სუვერენიტეტი. მისი მიუღებლობის შემთხვევაში ჩვენ პროტესტის უკიდურეს ფორმებს მივმართავთ.

მოკლედ, ჩვენი პოზიცია ნათელია. ჩვენი პასუხი საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიერ არჩეულ სვლაზე ყველასთვის ცხადია.

---

# განცხადება

ა/წლის 23, 24, 25 მარტს თბილისის სპორტის სასახლეში ტარდება ანზორ კიკნაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში.

მონაწილეობენ: იაპონიის, თურქეთის, პოლონეთის, შვეიცარიის, ბულგარეთის, გფრ-ის, საფრანგეთის, იტალიის, უნგრეთის, სსრკ და საქართველოს ძიუდოისტები.

დასაწყისი — 10—00 და 18—00 საათზე.

ბილეთები იყიდება სპორტის სასახლის სალაროებში.

**რედაქტორი მერაბ ზალარჯიშვილი**

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის [illegible] ნარინჯის [illegible] სტამბა, 380096, თბილისი, [illegible] № 14, [illegible] ფარმაცევტური [illegible]
კორპუსში, სოფარაშვილის [illegible]. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13
უე 00195